186/1960/2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

186/2

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 118 1960 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

16. გახანგრძლივებულდღიანი სკოლების მოწყობის შესახებ.
17. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნის შესახებ.
18. სამუშაოზე მშრომელთა გაფორძებისა და მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო საჭიროების საკითხების გადაწყვეტის დროს კანცელარიულ-ბიუროკრატიული დამახინჯების აღმოფხვრის ზომების შესახებ.
19. საქართველოს სს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებები

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიურ ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.
21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

22. კოლმეურნეობებში მშენებლობასთან დაკავშირებული საპროექტო-საძიებო სამუშაოების დაფინანსების წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.
25. მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საწარმოს ფონდის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილებით დამტკიცებული დებულების ძოქმედების კომუნალურ და ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და მეურნეობებზე გავრცელების თაობაზე.
26. სავაჭრო ორგანიზაციების განთავისუფლების შესახებ რადიომიმღებისა და ტელევიზორების რეგისტრაციისაგან მათი გაყიდვის დროს.
27. იმ შენობათა შესაფასებლად ნორმების დამტკიცების შესახებ, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით საქართველოს სსრ სოფელ ადგილებში.
28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საეგმო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.
29. მუშა-მოსამსახურეებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის დროს საცალო საქონელბრუნვის შესახებ.
30. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამავალ რკინიგზებზე მატარებლების მიერ ავტოსაჭაპანო ტრანსპორტისა და პირუტყვის გატანის თავიდან აცილების ზომების გაძლიერების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 14 თებერვლის № 107 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ოქტომბრის № 803 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
32. „მშენებლობის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ.
33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 25 იელისის № 469 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
34. სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში მოძველებული ფასონების და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.
35. საქართველოს სსრ საეაჭრო პალატის საკითხები.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

16 გახანგრძლივებულდღიანი სკოლების მოწყობის შესახებ

ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ოჯახისათვის დახმარების გაძლიერების მიზნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 თებერვლის № 182 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ სკოლა-ინტერნატების, როგორც მაღალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ქსელის განვითარებასთან ერთად, შეიქმნას ბავშვებისა და მოზარდებისათვის ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფელ ადგილებში გახანგრძლივებულდღიანი სკოლები, რომლებშიაც ბავშვები დარჩებიან პედაგოგთა მეთვალყურეობით მთელი დღის განმავლობაში.

დაწესდეს, რომ გახანგრძლივებულდღიანი სკოლები გაიხსნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის გადაწყვეტილებით.

F2401

გახანგრძლივებულდღიანი სკოლები შეიქმნება, როგორც წესი, I—VIII კლასების მოსწავლეებისათვის და განლაგდება არსებულ ან შენდებად სასკოლო შენობებში იმ პირობით, რომ ამ სკოლების გახსნა არ გამოიწვევს მეცადინეობის ცვლადობის გადიდებას მოცემული ქალაქის ან სოფლის სკოლებში. გახანგრძლივებულდღიან სკოლებში პირველ რიგში მიიღებიან ის ბავშვები, რომელთა მშობლები მუშაობენ.

2. მოეწყოს გახანგრძლივებულდღიანი სკოლების მოსწავლეებისათვის მშობელთა სახსრებით ორჯერადი ცხელი კვება იმ ანგარიშით, რომ კვების ღირებულება დღეში შეადგენდეს 5 მან. 60 კაპ.

I—II კლასების მოსწავლეებისა და სუსტი ჯანმრთელობის ბავშვებისათვის გახანგრძლივებულდღიან სკოლებში მოეწყოს დღისით ძილი.

3. უფლება მიენიჭოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გაათავისუფლონ კვების საფასურისაგან ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვები გახან-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძლივებულდღიანი სკოლების მოსწავლეთა საერთო შემადგენლობის 25 პროცენტამდე, აქედან 10 პროცენტამდე — მთლიანად და 15 პროცენტამდე — კვების საფასურის ოდენობის ნახევრამდე.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ გახანგრძლივებულდღიანი სკოლების მუშაკთა დამატებითი ტიპობრივი შტატები და ხელფასის განაკვეთები დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებით, დანართის თანახმად.

5. გახანგრძლივებულდღიან სკოლებში აღმზრდელთა რაოდენობა დაწესდება შემდეგი ანგარიშით: 1.5 ერთეული I—IV კლასების მოსწავლეთა ჯგუფზე და ერთი ერთეული V—VIII კლასების მოსწავლეთა ჯგუფზე იმ ეარაუდით, რომ თვითეულ ჯგუფში იქნება 30—40 კაცი.

ხელფასის განაკვეთები აღმზრდელებს დაუწესდებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 ნოემბრის № 5010 დადგენილების შესაბამისად.

გავრცელდეს გახანგრძლივებულდღიანი სკოლების აღმზრდელებზე შეღავათები და უპირატესობანი, საპენსიო უზრუნველყოფის წესი და მორიგი შვებულების ხანგრძლივობა, რომლებიც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებისათვის.

6. გახანგრძლივებულდღიანი სკოლების შენახვის ხარჯები, აგრეთვე მოსწავლეთათვის კვების შეღავათების მიცემის ხარჯები გაწეულ იქნას ბიუჯეტიდან.

7. გავრცელდეს ამ დადგენილების მოქმედება, გარდა მე-4 მუხლისა, გახანგრძლივებული დღის ჯგუფებზე, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოეწყობა.

იმ სკოლების დირექტორებსა და გამგეებს, რომლებთანაც მოწყობილია გახანგრძლივებულდღიანი ორი და მეტი ჯგუფი, დაუწესდეთ დანამატი თვეში 100 მანეთის ოდენობით.

8. გახანგრძლივებულდღიანი სკოლების მოწყობა, ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესით, ნებადართულ იქნას 1960 წლის 1 სექტემბრიდან 1960 წლის შრომის გეგმებისა და საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან, მშრომელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად, თვენახევრის განმავლობაში შეისწავლოს გახანგრძლივებულდღიანი სკოლებისა და ჯგუფების 1960—1961 სასწავლო წლიდან მოწყობის საკითხი და თავისი წინადადებანი ამ საკითხზე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს საჭირო დახმარება აღმოუჩინონ სახალხო განათლების ორგანოებს გახანგრძლივებულდღიანი სკოლებისა და ჯგუფების შექმნაში. ამასთან სათანადო კონტროლი გაუწიონ მათ მუშაობას.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს პროფსაბჭომ, ადგილობრივმა კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ გახანგრძლივებულდღიანი სკოლების და ჯგუფების შექმნისა და მათი მუშაობის ორგანიზაციის საქმეში.

11. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს მონაწილეობა მიიღონ გახანგრძლივებულდღიანი სკოლებისა და ჯგუფების მოწყობაში, რომლებშიაც ისწავლიან კოლმეურნეთა შვილები. ავრეთვე ამ სკოლებისა და ჯგუფების დამატებით მომსახურე პერსონალის (გარდა აღმინისტრაციული და აღმზრდელთა პერსონალისა) შენახვაში თავიანთი სახსრებით და მოსწავლეთა კვების ხარჯებში.

დაევალოთ საქართველოს კპ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ გახანგრძლივებულდღიანი სკოლებისა და ჯგუფების მოწყობაში კოლმეურნეობათა მონაწილეობის საკითხი და დასახონ საჭირო ღონისძიებანი.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს მიიღონ ზომები და უზრუნველყონ მოსწავლეთა ცხელი კვების მოწყობა გახანგრძლივებულდღიან სკოლებსა და ჯგუფებში.

13. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 25 დეკემბრის № 741 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი და მე-6 მუხლი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 29 მარტი, № 183

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960
წლის 29 მარტის № 183 დადგენილების დანართი

დამატებითი ტიპობრივი შტატები და ხელფასის განაკვეთები გახანგრძლივებულდღიანი სკოლების ადმინისტრაციული, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალისა, რაც დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 თებერვლის № 182 დადგენილებით

გახანგრძლივებულდღიანი სკოლების ადმინისტრაციული, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალის შტატები დაწესდეს დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მოქმედი ტიპობრივი შტატების შესაბამისად, შემდეგ თანამდებობათა დამატებით:

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა
მედდა	1
მეკუჭნავე	1
მზარეული	1—2
ჭურჭლის მრეცხავი — სამზარეულოს მუშა	1

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

1. მეკუჭნავის, მზარეულის, ჭურჭლის მრეცხავის — სამზარეულოს მუშის თანამდებობანი შემოღებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ საჭმელი მზადდება უშუალოდ სკოლაში. გახანგრძლივებულდღიან სკოლებში, რომლებშიაც კლასების რაოდენობა ცხრაზე მეტია, შემოღებული იქნება მზარეულის ორი თანამდებობა.

2. თანამდებობრივი განაკვეთები გახანგრძლივებულდღიანი სკოლების დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებს დაუწესდებათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების განაკვეთებზე 20 პროცენტით მეტი, ხოლო ზემოაღნიშნულ დამატებით პერსონალს — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 3 ნოემბრის № 646 დადგენილების შესაბამისად.

3. გახანგრძლივებულდღიან სკოლებში, სადაც ჯგუფების რიცხვი შვიდი და მეტია, სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობა შეიძ-

ლება დაწესდეს ერთი ერთეულის რაოდენობით, თუ ტიპობრივი შტატებით გათვალისწინებულია ერთეულების ნაკლები რაოდენობა.

4. გახანგრძლივებულდღიან სკოლებში შემოღებულია თანამდებობა დირექტორის თანაშემწისა სამეურნეო ნაწილში. ამ სკოლებში მეურნეობის გამგის თანამდებობა არ არის დაწესებული.

5. ბუღალტრის თანამდებობა ერთი ერთეულის რაოდენობით შემოღებული იქნება გახანგრძლივებულდღიანი სკოლების შტატებში, თუ ეს თანამდებობა არ არის გათვალისწინებული სკოლების ტიპობრივი შტატებით ან თუ გათვალისწინებულია ბუღალტრის თანამდებობის მხოლოდ 0.5 ერთეული.

6. მეგარდეროობეების რაოდენობა დაწესდება შემდეგი ანგარიშით: ერთი ერთეული 200—250 მოსწავლეზე. მაგრამ არა ნაკლებ ერთი ერთეულისა და არა უმეტეს ორი ერთეულისა სკოლაზე.

7. გახანგრძლივებულდღიან სკოლებში, უკეთუ მათ ჰყავთ ცხენის ტრანსპორტი, შემოღებულია მეჯინიბე-მზიდავის თანამდებობა თვეში 300 მან. განაკვეთით ქალაქად და 270 მან. განაკვეთით—სოფელ ადგილებში.

8. იმ ტიპობრივი შტატებიდან გადახრა, რაც დამტკიცებულია ამ დადგენილებით გახანგრძლივებულღღიანი სკოლებისათვის, რომლებშიაც მუშაობის პირობებისა და ძოცულობის მიხედვით არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ტიპობრივი შტატები, დაიშვება ყოველ ცალკე შემთხვევაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსათვის დაწესებული პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

9. გახანგრძლივებულდღიან სკოლებს საექიმო დახმარება გაეწევათ საერთო საფუძვლებზე ისე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს.

17 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნის შესახებ

აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის, კულტურისა და ენების დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარების მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მოეწყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.

ინსტიტუტის ძირითად ამოცანად ჩაითვალოს ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ძველი, ახალი და უახლესი პერიოდების ენების, ისტორიისა და კულტურის მეცნიერული პრობლემების შესწავლა და დამუშავება.

2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნასთან დაკავშირებული მთელი სამუშაოები დამთავრდეს არა უგვიანეს 1960 წლის 1 ივნისისა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 5 აპრილი, № 229

18 სამუშაოზე მშრომელთა გაფორმებისა და მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო საჭიროების საკითხების გადაწყვეტის დროს კანცელარიულ-ბიუროკრატიული დამახინჯების აღმოფხვრის ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები და დაწესებულებები, ხელმძღვანელობენ რა მოძველებული ინსტრუქციებით, დებულებებითა და ბრძანებებით, სამუშაოზე მშრომელთა გაფორმების და მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო საჭიროების საკითხების გადაწყვეტის დროს მოითხოვენ მათგან დიდძალ სხვადასხვა ცნობებს, დახასიათებებსა და სხვა დოკუმენტებს, რომელთა წარდგენა არ არის გამოწვეული აუცილებლობით.

ბევრი საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელები ძალიან ხშირად მოითხოვენ მუშა-მოსამსახურეებისაგან, შრომის წიგნაკისა და პასპორტის გარდა ცნობებს წინანდელი მუშაობის, წინანდელი ხელფასის, ოჯახური მდგომარეობის, საცხოვრებელი ფართობის, ვაწერის შესახებ, აგრეთვე წერილობითს დახასიათებებს.

მაგალითად, ქ. ბათუმის ბევრ ორგანიზაციაში, მათ შორის სამინისტროებში, საქალაქო საბჭოში, ფაბრიკებში, ქარხნებში, ნავსადგურში, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში სამუშაოზე მიღების დროს მოითხოვენ, რომ წარდგენილ იქნას 10—15-მდე სხვადასხვა დოკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტი და ცნობა: ცნობები სამხედრო კომისარიატიდან, განათლების შესახებ, სახლმმართველობიდან, უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, დახასიათებები და ა. შ. ამასთან ამ ცნობებს მოითხოვენ ყველა შემთხვევაში დამოუკიდებლად მუშაობის ხასიათისა და თანამდებობისა, რომელზედაც მუშაკს აფორმებენ.

ქალაქ თბილისში, სოხუმში, რუსთავში, ფოთში თითქმის ყველგან არის ფაქტები, როდესაც სამუშაოზე მიღების გაფორმების დროს, შრომის წიგნაკის და პასპორტის გარდა, მოითხოვენ სხვადასხვა ცნობების წარდგენას, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ თანამდებობაზე მუშაკის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტასთან.

მრავალრიცხოვანი ცნობებისა და დახასიათებების მოთხოვნა მოქალაქეებისაგან სამუშაოზე ჩარიცხვის დროს არაფრით არ არის გამართლებული და აბრკოლებს მნიშვნელობას პასპორტისა და შრომის წიგნაკისა, რომლებიც შეიცავენ ამ საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო ცნობებს. გამონაკლისს შეიძლება შეადგენდეს მხოლოდ წარმოების ცალკეული დარგები, სადაც შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ახალ მუშაკებზე მართლაც საჭიროა ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ზოგიერთი სხვა დოკუმენტი.

ხშირად მუშა-მოსამსახურეებისაგან მოითხოვენ დახასიათებებს და ზედმეტ ცნობებს წარმოებისაგან საცხოვრებელი ფართობის განაწილებასთან და ინდივიდუალური სახლების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებითაც კი.

სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მიერ 1959 წლის 25 ივლისს დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ განცხადებასთან ერთად საჭიროა 8 სხვადასხვა ცნობის წარდგენა. ხოლო თუ განმცხადებლის ოჯახში არიან სრულწლოვანი პირები, მაშინ წარსადგენი ცნობების რაოდენობა მათი რიცხვის შესაბამისად იზრდება.

ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია მშრომელთა ინვალიდობის გამოსარკვევად მოითხოვს მათგან საწარმოო დახასიათების წარდგენას. მიუხედავად იმისა, რომ საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში გასაგზავნად დაწესებული ფორმა შეიცავს ყოველგვარ საჭირო ცნობებს, აქ დამატებით შემოღებულია სასტამბო წესით დაბეჭდილი საწარმოო დახასიათების სპეციალური ფორმა, რომელიც 30-ზე მეტს სხვადასხვა კითხვას შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცავს. სასწავლებელში მიღების, სამუშაოდან დათხოვნის, შვებულებაში წასვლის, ბაგებსა და საბავშვო ბაღებში ბავშვთა მოწყობისა და მთელი რიგი სხვა საკითხების გადაწყვეტის დროს ზედმეტი დოკუმენტებისა და ცნობების მოთხოვნა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მშრომელებში.

„სამუშაოზე მშრომელთა გაფორმებისა და მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო საჭიროების საკითხების გადაწყვეტის დროს კანცელარიულ-ბიუროკრატიული დამახინჯების აღმოფხვრის ზომების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 25 თებერვლის დადგენილების განხორციელების მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ :

1. დაეკალოს საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს მიიღონ ზომები იმ ბიუროკრატიულ დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად, რაც იმით გამოიხატება, რომ მოქალაქეებისაგან მოითხოვენ სხვადასხვაგვარ ცნობებს, დახასიათებებსა და სხვა დოკუმენტებს, აღმოფხვრან საქმის გაჭიანურება და უსარგებლო ფორმალობა სამუშაოზე მშრომელთა მიღების და ისეთი საკითხების გადაწყვეტის დროს, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სხვა საჭირობებთან; გააძლიერონ საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა აღზრდა ადამიანებისადმი მზრუნველობითი და სათუთი დამოკიდებულების, მოქალაქეთა იმ უფლებების განუხრელად დაცვის სულისკვეთებით, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით.

2. დაეკალოთ რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს არ მოითხოვონ მშრომელებისაგან რაიმე წერილობითი ცნობები, როდესაც საჭირო ცნობები შეიძლება დადასტურებულ იქნას პასპორტის, შრომის წიგნაკის, დაბადების მოწმობის ან სხვა ისეთი დოკუმენტების წარდგენით, რომლებიც ადასტურებენ მოქალაქეთა პირადობას და შრომითს საქმიანობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით, წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს და სახალხო მეურნეობის საბჭოს 1960 წლის 25 აპრილამდე გადასინჯონ მათ მიერ გამოცემული ინსტრუქციები და დებულებები, რომლებიც აწესებენ ამა თუ იმ დოკუმენტების წარდგენას მშრომელთა მიერ.

3. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს სათანადო წესრიგი დაამყარონ პასპორტებისა და შრომის წიგნაკების გაფორმების საქმეში. უზრუნველყონ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების დროულად შეტანა ამ დოკუმენტებში.

4. დაევალოთ საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიმდინარე წლის 25 აპრილამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავიანთი წინადადებანი პენსიების მისაღები დოკუმენტების გაფორმების ერთიანი წესის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას საჭირო დაზუსტებანი საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მოქმედ დებულებაში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად რესპუბლიკის იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების სია, რომლებიც გაუქმებულ ან შეცვლილ უნდა იქნან ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 5 აპრილი, № 235

19 საქართველოს სს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 31 მარტის № 372 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაეგზავნოთ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წ. 31 მარტის № 372 დადგენილება „კავშირგაბმულობის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ".

2. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს 1960 წლის II კვარტალის—1961 წლის III კვარტალის განმავლობაში განახორციელოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საექსპლუატაციო-საწრმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე კავშირგაბმულობის მუშაკთა მოსამზადებელი სასწავლებლებისა და სკოლების მუშაკთა ხელფასის მოწესრიგება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, სათანადო პროფკავშირულ ორგანოსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში წრმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის ანაზღურების ახალი პირობების შემოღების კონკრეტული ვადები კავშირგაბმულობის ცალკეულ საექსპლუატაციო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ამასთან გაითვალისწინოს კავშირგაბმულობის ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ახალ პირობებში, მუშაობის მზადყოფნა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიას ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ თავისი წინადადებანი კავშირგაბმულობის იმ საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების მაჩვენებლებზე, რომლებიც არ არიან სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს გამგებლობაში, შრომის ანაზღაურების მხრივ მათი ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ჯგუფებზე მიკუთვნების მიზნით, რათა შემდეგში იგი შეთანხმებულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან.

5. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს შემოიღოს შრომის ანაზღაურების ახალი პირობები ელექტროსადგურების, ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოების, სტამბების, დამხმარე სასოფლო მეურნეობათა მუშაკებისათვის, კაპიტალური მშენებლობისა და სამშენებლო ორგანიზაციების განყოფილებათა მუშებისა და სახაზო ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის, წყლისა და საავტომობილო ტრანსპორტის, საანგარიშო მანქანათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურების, დაცვის, საბინაო-კომუნალური განყოფილებების, ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოების და საბავშვო დაწესებულებების მუშაკთათვის, ამასთან ერთად მოაწესრიგოს სახალხო მეურნეობის შესაბამ დარგთა მუშაკების ხელფასი იმ ვადებში, რაც დაწესებულია სკკპ ცკ-ის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს 1959 წ. 19 სექტემბრის № 1120 და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 დეკემბრის № 953 დადგენილებებით.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, რომელთა გამგებლობაშიაც იმყოფებიან კავშირგაბმულობის საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მუშაკების გადაყვანამდე შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე ფართო აქტივის მონაწილეობით ჩაატარონ ზუსტი მოსამზადებელი მუშაობა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ორგანიზაციულ სტრუქტურის შემდგომ სრულსაყოფად, ცალკეულ საწარმოებში წარმოების უსაამქრო მმართველობის შემოსაღებად და სხვა სამუშაოები სამმართველო და საამქრო აპარატის ღირებულების გასაიაფებლად და დამატებითი წყაროების გამოსაძებნად იმ ხარჯების დასაფარავად, რაც დაკავშირებულია ხსენებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების გატარებასთან.

7. დაევალოთ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს გაუწიონ კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს ყოველმხრივი დახმარება „კავშირგაბმულობის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ"—სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელებაში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან და მშრომელთა ფართო აქტივთან ერთად უნდა მოაწყონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა კავშირგაბმულობის მუშაკთა შორის, ამასთან, წარმოებისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების კონკრეტულ მაგალითებზე უჩვენონ ხელფასის მოსაწესრიგებლად

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსახორციელებელ ღონისძიებათა სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა.

8. დაევალოთ საქართველოს პროფსაბჭოს, კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის, ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ წარმოების რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენების საქმეში, ყოველმხრივ განავითარონ და ხელი შეუწყონ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითს ინიციატივას კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებაში, შრომის ნაყოფიერებისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 აპრილი. № 321

ა ს ლ ი

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 372

1960 წლის 31 მარტი

მოსკოვი, კრემლი

კავშირგაბმულობის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ

სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ყველა სახის კავშირგაბმულობით მომსახურების გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდაში კავშირგაბმულობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესებულობის გაძლიერების მიზნით, აგრეთვე კავშირგაბმულობის მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობის გადიდების მიზნით, რაც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. განხორციელებულ იქნეს 1960 წ. II კვარტალის—1961 წ. III კვარტალის განმავლობაში სსრ კავშირის კავშირგაბმულობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების კავშირგაბმულობის სამინისტროების, კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე კავშირგაბმულობის მუშაკთა მოსამზადებელი სასწავლებლებისა და სკოლების მუშაკთა ხელფასის მოწესრიგება.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოებისა და ორგანიზაციების კავშირგაბმულობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანა მოხდეს ამ დარგებში შრომის ხელფასის მოწესრიგებასთან ერთდროულად, ხოლო იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების კავშირგაბმულობის მუშაკთათვის სადაც უკვე ჩატარებულია სამუშაო ხელფასის მოწესრიგება, იმ ვადებში, რაც გათვალისწინებულია კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

2. დაწესდეს, რომ შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების კონკრეტულ ვადებს კავშირგაბმულობის ცალკეულ საექსპლუატაციო საწარმოებსა და ორგანიზაციებში განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და სახალხო მეურნეობათა საბჭოები საერთანადო პროფესიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნას კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ახალ პირობებში მუშაობისათვის მზადყოფნა.

3. დაწესდეს მასობრივი პროფესიების, კავშირგაბმულობის მუშაკების, კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეების და უმცროსი მომსახურე პერსონალის, აგრეთვე კავშირგაბმულობის მუშაკთა მოსამზადებელი სასწავლებლებისა და სკოლების მუშაკების თანამდებობრივი განაკვეთები, №№ 1—4 დანართების თანახმად.

4. დაწესდეს, რომ კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების იმ მუშათა შრომის ანაზღაურება, რომლებიც დასაქმებული არიან კავშირგაბმულობის საშუალებათა მომსახურების, რემონტისა და დადგმის, კავშირგაბმულობის საწარმოებში გამოყენებული მანქანებისა და მექანიზმების სამუშაოებზე (გარდა იმ მუშაკებისა, რომელთა შრომის ანაზღაურება გათვალისწინებულია № 1 დანართით), წარმოებს სატარიფო განაკვეთის მეორე ჯგუფით, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცკ-ის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წ. 9 აპრილის № 377 დადგენილებით მან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანათმშენებელი და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მუშებისათვის.

5. უფლება მიეცეთ კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შემოიღონ, პროფკავშირების სათანადო კომიტეტებთან შეთანხმებით, კავშირგაბმულობის მუშაკთა დაჯილდოება შემდეგი ოდენობით.

ა) კავშირგაბმულობისა და მექანიზაციის საშუალებათა საექსპლუატაციო-ტექნიკური მომსახურების სამუშაოებზე დასაქმებული მუშებისათვის სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი განაკვეთის) 25 პროცენტამდე კავშირგაბმულობისა და მექანიზაციის მომსახურე საშუალებათა განუწყვეტელი მაღალხარისხოვანი მოქმედების უზრუნველყოფისათვის, იმ პირობით, თუ სრულდება დაწესებული ვალდებულებანი;

ბ) მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობისათვის კავშირგაბმულობის სამსახურის გაწევაზე საფოსტო-სატელეგრაფო-სატელეფონო გზავნილებისა და ბეჭდვითი სიტყვის დამუშავებაზე და ფოსტის გადაზიდვის სამუშაოებზე დასაქმებული კავშირგაბმულობის მასობრივი პროფესიების მუშებისათვის—თანამდებობრივი განაკვეთის (სატარიფო განაკვეთის) 25 პროცენტამდე მუშაობაში დაწესებული რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის იმ პირობით, თუ ასრულებენ და აჭარბებენ დავალებებს შემოსავლისა და გამომუშავების ნორმების დარგში;

გ) კავშირგაბმულობისა და მექანიზაციის საშუალებათა საარემონტო სამუშაოებზე დასაქმებული მუშებისთვის სატარიფო განაკვეთის 25 პროცენტამდე საარემონტო სამუშაოების ხარისხიანად და ვადამდე შესრულებისათვის;

დ) „სოიუზპეჩატის" მეკიოსკეებისათვის—თანამდებობირვი განაკვეთის 5 პროცენტამდე საქონელბრუნვის თვიური გეგმის შესრულებისათვის და თანამდებობრივი განაკვეთების 1 პროცენტი ყოველი თითო პროცენტის გადაჭარბებისათვის, მაგრამ არა უმეტეს თანამდებობრივი განაკვეთის 25 პროცენტისა.

ის პირები, რომელთაც აქვთ გაცდენები იმ პერიოდში, როცა პრემიების დარიცხვა წარმოებს, კარგავენ პრემიებს მთლიანად ან ნაწილობრივ.

6. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს წარდგენით პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან ერთად ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიპური დებულება კავშირგაბმულობის მასობრივი პროფესიების, კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშებისა და მუშაკების დაჯილდოების შესახებ;

მაჩვენებლები სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების კავშირგაბმულობის სამინისტროების საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების მისაკუთვნებლად ჯგუფებზე ხელმძღვნელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შრომის ანაზღაურებისათვის;

ტიპური სია მუშათა იმ პროფესიებისა, რომლებსაც უხდიან ხელფასს სატარიფო განაკვეთებით, რაც დაწესებულია იმ მუშებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან ცხელ და მძიმე სამუშაოებზე და იმ სამუშაოებზე, სადაც შრომის პირობები მავნებელია;

დებულება იმ მუშაკებისათვის ხარჯთა ანაზღაურების (დღიურები და ბინის ქირა) წესისა და ოდენობის შესახებ, რომელთა მუდმივი მუშაობა მიმდინარეობს გზაში და ატარებს მიმოსვლის ხასიათს, აგრეთვე იმ მუშაკებისათვის, რომლებიც მომსახურებას უწევენ კავშირგაბმულობის სახაზო ნაგებობებს.

7. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, მაჩვენებლები, რათა კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც არ შედიან სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების კავშირგაბმულობის სამინისტროთა გამგებლობაში, მიეკუთვნონ ჯგუფებს ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შრომის ანაზღაურებისათვის.

8. კავშირგაბმულობის მუშაკებისათვის ახალი თანამდებობრივი განაკვეთების შემოღებასთან ერთად შემცირდეს, მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების ცვლილების შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების განკარგულებაში გამოყოფილი პერსონალური დანამატების ფონდი.

9. შეუწყდეთ კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს, აგრეთვე კავშირგაბმულობის მუშაკთა მოსამზადებელი სასწავლებლებისა და სკოლების მუშაკებს წელთა ნამსახურობისათვის პროცენტული დანამატების მიცემა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლის მომენტიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს, რომელთაც ამ დადგენილებით არ უწესდებათ შრომის ანაზღაურების ახალი პირობები, სამუშაო ხელფასის მოწესრიგებამდე კვლავაც მიეცეთ პროცენტული დანამატები წელთა ნამსახურობისათვის იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წ. 2 მარტის № 234 დადგენილებით.

10. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს, პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან ერთად და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით, დაამტკიცოს ერთი თვის ვადაში კავშირგაბმულობის მუშაკთა შრომის ხელფასის რაიონული კოეფიციენტები იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს 1959 წ. 19 სექტემბრის № 1120 დადგენილებით.

11. შრომის ანაზღაურების ახალი პირობები ელექტროსადგურების, ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოების, სტამბების, სოფლის მეურნეობის დამხმარე მუშაკთათვის, კაპიტალური მშენებლობის განყოფილებათა და სამშენებლო ორგანიზაციების და ხაზის ინჟინერ-ტექნიკური მუშებისა და მუშაკებისათვის, სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტის, საანგარიშო მანქანათა სადგურების, დაცვის, საბინაო-კომუნალური განყოფილებების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და ბავშვთა დაწესებულებების მუშაკთათვის შემოღებულ იქნეს სახლხო მეურნეობის სათანადო დარგების მუშაკთა შრომის ხელფასის მოწესრიგებასთან ერთდროულად იმ ვადებში, რაც დაწესებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს 1959 წ. 19 სექტემბრის № 1120 დადგენილებით.

12. დაევალოთ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების კავშირგაბმულობის სამინისტროებს და კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანისას:

ა) ფართოდ დანერგონ გამომუშავებისა და საშტატო ნორმატივების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები, რომლებიც შეესაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მება ტექნიკისა და წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე დონეს, დამუშავებულია კავშირგაბმულობის მუშაკთა მოწინავე საწარმოთა გამოცდილებათა ვათვალისწინებით;

ბ) გაადიდონ დროითი მუშების სატარიფო ანაზღაურების ხვედრითი წონა ხელფასში და თანამდებობრივი განაკვეთების ხვედრითი წონა კავშირგაბმულობის მასობრივი პროფესიების მუშაკთა ხელფასში სულ ცოტა 80 პროცენტამდე;

გ) ჩაატარონ სამუშაოთა და მუშების ტარიფიკაცია იმ სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარების შესაბამისად, რომელნიც დამტკიცებულია არსებული წესით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

13. დაევალოთ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების კავშირგაბმულობის სამინისტროებს, კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მუშაკთა შრომის ხელფასის მოწესრიგების დროს უზრუნველყონ ყოველ საწარმოში შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, აგრეთვე მინიმალურ და მაქსიმალურ ხელფასთა შორის განსხვავების შემცირება სხვადასხვა კატეგორიების მუშაკთა შრომის ანაზღაურებაში სწორ თანაფარდობათა დაწესებით.

14. კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა გადაყვანა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე განხორციელდეს შინაგანი რესურსების მაქსიმალური გამოყენების გათვალისწინებით, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, ნორმირების მოწესრიგების, სამუშაო დროის დანაკარგთა შემცირებისა და წარმოების მმართველობის შემდგომი სრულყოფის შედეგად მიღებული სახსრების ეკონომიით, აგრეთვე შრომის ანაზღაურების წასახალისებელი სისტემის გამოყენებაში მეტისმეტობის აღმოფხვრისა და წელთა ნამსახურობისათვის პროცენტული დანამატების გაცემის შეწყვეტით.

15. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან კავშირგაბმულობის საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანამდე ფართო აქტივის მონაწილეობით ჩაატარონ გულმოდგინე მოსამზადებელი მუშაობა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, კავშირგაბმულობის საწარმოებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორგანიზაციების საორგანიზაციო სტრუქტურის შემდგომი სრულყოფისათვის, ცალკეულ საწარმოებში წარმოების უსაამქრო მმართველობის შემოსაღებად და სხვა სამუშაოები სამმართველო და საამქრო აპარატის ღირებულების გასაიაფებლად ხარჯების დასაფარავად და იმისათვის, რომ გამოინახოს დამატებითი წყაროები იმ ხარჯების დასაფარავად, რომელნიც დაკავშირებულია აღნიშნული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალ პირობათა შემოღებასთან.

16. კავშირგაბმულობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალ პირობათა შემოღებასთან ერთად გაუქმდეს კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ყველა მოქმედი სატარიფო განაკვეთი, თანამდებობრივი განაკვეთები, დებულებანი კავშირგაბმულობის მასობრივი პროფესიების მუშებისა და მუშაკების დაჯილდოების შესახებ, აგრეთვე მუშაკთა ხელფასის კოეფიციენტები და დამატებანი.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან და პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან ერთად, შემოიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში დასამტკიცებლად მთავრობის იმ დადგენილებათა სია, რომელთაც დაკარგეს ძალა ამ დადგენილებასთან დაკავშირებით.

17. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს მისცეს ახსნა-განმარტებანი კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელნიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით, შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე, აგრეთვე გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები ამ საკითხებზე.

18. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წ. I კვარტალში მოხსენება კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ამ დადგენილების შესაბამისად მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების შედეგთა შესახებ.

19. საოქმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს ამ დადგენილების შესრულებაში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან და მშრომელთა ფართო აქტივთან ერთად უნდა ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა კავშირგაბმულობის მუშაკთა შორის, უჩვენონ წარმოებისა და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების კონკრეტულ მაგალითებზე შრომის ხელფასის მოსაწესრიგებლად ჩატარებულ ღონისძიებათა სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა.

21. დაევალოთ პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, კავშირგაბმულობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საოლქო და სამხარეო საბჭოებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ წარმოების რეზერვთა გამოვლინება-გამოყენებაში, ყოველმხრივ განავითარონ და მხარი დაუჭირონ მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების შემოქმედებითს ინიციატივას კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდების და სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების საქმეში.

8285

* * *

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ღონისძიებათა განხორციელება კავშირგაბმულობის მუშაკთა სამუშაო ხელფასის მოსაწესრიგებლად განუწყვეტლადაა დაკავშირებული არსებული რეზერვების გამოყენების გაუმჯობესების საჭიროებასთან კავშირგაბმულობის მოწყობილობის, აპარატურის და სხვა საშუალებათა უფრო სრულად დატვირთვასთან, მოწინავე გამოცდილებისა და ახალი ტექნიკის დანერგვასთან, დაგეგმვის გაუმჯობესებასთან, აგრეთვე წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესებასთან, წარმოების მოცულობის მუდმივი გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისხის გაუმჯობესებისა და საწარმოო და საფინანსო გეგმების შესრულების და გადაჭარბების საქმით მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის განუხრელი დაცვა უნდა შეადგენდეს სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ყოველდღიურ საზრუნავს.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 31 მარტის № 372
დადგენილების დანართი № 1

თანამდებობრივი განაკვეთები

კავშირგაბმულობის მასობრივი პროფესიების საექსპლუატაციო საწარმოების ორგანიზაციების და კავშირგაბმულობის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაკებისა

თანამდებობა, პროფესიათა და სპეციალობათა სახელწოდება	მუშაკთა კვალიფიკაციის კლასები	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)
1. ყველა სახელწოდების ტელეგრაფისტი (სააპარატო და არასააპარატო სამსახურისა)	I II III	750,800 650,700 550,600
2. რადიოოპერატორი, ფოტოოპერატორი	I II III	800,850 700,750 600,650
3. ტელეფონისტი:		
ა) საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირისა	I II III	750,800 650,700 550,600
ბ) ქალაქის (ადგილობრივი) და შიგარაიონული სატელეფონო კავშირისა	I II III	600,650 500,550 450
4. ოპერატორი: საფოსტო კავშირგაბმულობის, საფოსტო-სატელეგრაფო-სატელეფონო კავშირგაბმულობის	I II III IV	850,900 750,800 650,700 550,600
5. ფოსტის გზავნილებისა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა დამხარისხებელი	I II III	750,800 650,700 550,600

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა, პროფესიათა და სპეციალობათა სახელწოდება	მუშაკთა კვალიფიკაციის კლასები	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)
6. ფოსტის გზავნილებისა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა მიწოდების ორგანიზატორი	I II III	800,850 700,750 650,700
7. ფოსტალიონი	I II III	600,650 550,600 500,550
8. „სოიუზპეჩატის" ხელმოწერის ორგანიზატორი	I II	650,700 600,650
9. „სოიუზპეჩატის" ხელმოწერის დამმუშავებელი, „სოიუზპეჩატის" ექსპედიტორი	I II	600,650 500,550
10. „სოიუზპეჩატის" მეკოლეგე	I II III	600 550 500
11. „სოიუზპეჩატის" საცალო სააგენტოს (ბაზის) გამგე	I II III	750,800 650,700 550,600
12. ელექტროკავშირგაბმულობის, ფოსტისა და „სოიუზპეჩატის" დამხმარე მუშაკი	I II	500 450
13. ფოსტის დამტარებელი	I II	450 400
14. საფოსტო ვაგონის გამცილებელ-ელექტრომოსტიორი	I II	700 600
15. საექსპედიციო მანქანების მემანქანე	I II	600,650 500,550
16. ელექტროკარის, ავტოკარის, ელექტროწევის მძღოლი		

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა, პროფესიათა და სპეციალობათა სახელწოდება	მუშაკთა კვალიფიკაციის კლასები	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)
ა) დატვირთვის (გადმოტვირთვის) შემთხვევაში თვით მძღოლის მიერ	—	600,700
ბ) დატვირთვის (გადმოტვირთვის) შემთხვევაში სპეციალური მუშაკების მეშვეობით . . .	—	500,600
17. აერომარხილის, გლისერების, ნახევარგლისერების მძღოლი	I II III	800 750 700
18. ფელდფიგერი და ექსპედიტორი სპეციალური კავშირგაბმულობისა	I II III IV	850,950 750,850 650,750 550,650
19. სპეციალური დავალებების ფელდფიგერი	—	900—1100
20. საფოსტო ვაგონის უფროსი	I II III	850— 950 750— 900 650— 800
21. კავშირგაბმულობის განყ. უფროსი		
I ჯგუფისა	—	1100—1300
II ჯგუფისა	—	1000—1100
III ჯგუფისა	—	900—1000
IV ჯგუფისა	—	800— 900
V ჯგუფისა	—	700— 800
VI ჯგუფისა	—	600— 700

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

1. ამ დებულების 1—9, 11, 15, 16 და 18 პოზიციებში აღნიშნული თანამდებობების, პროფესიებისა და სპეციალობების, გადიდებული განაკვეთები გამოიყენება ქ. მოსკოვში, ლენინგრადში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში და სხვა ქალაქებში, სადაც მოსახლეობა შეადგენს 500 ათასს და მეტ კაცს.

2. ბრიგადირების, აგრეთვე უფროს ტელეგრაფისტების, უფროს რადიოოპერატორებისა და უფროს ტელეფონისტების თანამდებობრივი განაკვეთები უფრო მეტია ვიდრე მათი ხელმძღვანელობით მომუშავე ბრიგადის (ჯგუფის) მაღალი კლასის მუშაკთა განაკვეთებია:

10 პროცენტით მეტი—თუ ბრიგადის შემადგენლობაში 5-დან 10 კაცამდეა;

15 პროცენტით მეტი — თუ ბრიგადის შემადგენლობაში 10 კაცზე მეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ტელეგრაფისტებს, რადიოოპერატორებსა და ტელეფონისტებს, რომლებიც საერთაშორისო კავშირგაბმულობებზე მუშაობენ, ავრეთვე საფოსტო კავშირის ოპერატორებსა და დამხარისხებლებს, რომლებიც მუდმივად არიან დასაქმებული საერთაშორისო საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილებისა და საიმპორტო ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა დამუშავება-დახარისხების სამუშაოებით, თანამდებობრივი განაკვეთები 10 პროცენტით მეტი ენიშნებათ იმ თანამდებობრივ განაკვეთებზე, რაც გათვალისწინებულია სათანადო პროფესიებისა და კვალიფიკაციის მუშაკებისათვის.

4. ამ დებულებაში აღნიშნული თანამდებობრივი განაკვეთები იზრდება:

ა) 10 პროცენტით—მიწისქვეშა ობიექტებზე მუდმივად მომუშავეებისათვის;

ბ) 10 პროცენტით—ქალაქის სატელეფონო ქსელის (კვანძების, სადგურების) საცნობარო სამსახურების ტელეფონისტებისათვის ქ. მოსკოვში, ლენინგრადში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში;

გ) 10—15 პროცენტით—იმ მუშაკებისათვის, რომლებმაც იციან და ყოველდღიურად იყენებენ სამუშაოზე უცხო ენებს;

დ) 15 პროცენტით—იმ მუშაკებისათვის, რომლებიც უშუალოდ არიან ჩაბმული რადიოაქტიური და იონიზირებული ნივთიერებების ტრანსპორტირების სამუშაოებში.

5. კავშირგაბმულობის განყოფილებათა, საფოსტო ვაგონების უფროსების მოადგილეებს თანამდებობრივი განაკვეთები ენიშნებათ 10—15 პროცენტით ნაკლები, ვიდრე სათანადო უფროსების თანამდებობრივი განაკვეთებია.

6. ამ დანაროით გათვალისწინებული თანამდებობრივი განაკვეთები ენიშნებათ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კავშირგაბმულობის მუშაკებს, მიუხედავად იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების საუწყებო დაქვემდებარებისა, რომლებშიც ისინი მუშაობენ, გარდა კავშირგაბმულობის მუშაკებისა, რომლებიც მუშაობენ საზღვაო ტრანსპორტის გემებზე, თევზის მრეწველობის ფლოტზე და იმ მუშაკებისა, რომლებიც შედიან თვითმფრინავთა ეკიპაჟების შემადგენლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 31 მარტის № 372
დადგენილების დანართი № 2

თანამდებობრივი განაკვეთები

კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ჯგუფებში (მანეთობით)						
	I	II	III	IV	V	VI	VII
I. ტელეგრაფი, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური, ცენტრალური საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური და მის დაქვემდებარებაში მყოფი საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურები, ქალაქის სატელეფონო ქსელის სამმართველო, ქალაქის სატელეფონო სადგური, საერთაშორისო ფოსტამტი, ფოსტამტი, სატელეგრაფო-სატელეფონო კანტორა, გაერთიანებული საქალაქო და საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური, სატელეფონო კვანძი, კაბელისა და რადიორელეის მაგისტრალის საექსპლუატაციო-ტექნიკური სამმართველო, რადიოკავშირგაბმულობისა და რადიომაუწყებლობის დირექცია, რადიოცენტრი, სატელევიზიო ცენტრი, რადიოსადგური, ტექნიკური რადიოკონტროლის ცენტრი, რადიოსატრანსლაციო ქსელის დირექცია, ქალაქის რადიოსატრანსლაციო ქსელის საექსპლუატაციო-ტექნიკური კანტორა (რაიონი), რადიოსატრანსლაციო კვანძი, ფოსტის გადაზიდვის მოსკოვის სამმართველო, სახელმწიფო საკავშირო რადიოტრესტი							
უფროსი	2200-2400	2000-2200	1800-2000	1700-1900	1500-1700	1350-1500	1200-1350
მთავარი ინჟინერი	2000-2200	1800-2000	1700-1800	1600-1700	1400-1600	—	—
მთავარი სპეციალისტი (მთავარი მექანიკოსი, მთავარი ენერგეტიკოსი)	1600-1800	1400-1600	—	—	—	—	—
ტექნიკური, საექსპლუატაციო-ტექნიკური, ექსპლუატაციის, ელექტროკავშირგაბმულობის, საფოსტო და საერთაშორისო განყ. უფროსები	1400-1600	1300-1500	1200-1400	—	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ჯგუფებში (მანეთობით)						
	I	II	III	IV	V	VI	VII
საგეგმო-საფინანსო, შრომისა და ხელფასის, მომარაგების, კაპიტალური მშენებლობის განყოფილებათა უფროსები.	1400-1500	1300-1400	1200-1300	—	—	—	—
მთავარი ბუღალტერი ანუ უფროსი ბუღალტერი, რომელიც ხელმძღვანელობს საბუღალტრო აღრიცხვას	1400-1500	1300-1400	1200-1300	1100-1200	1000-1100	950-1050	900-1050
დანარჩენ განყოფილებათა (გარდა ადმინისტრაციულ-სამეურნეოსი) უფროსები	1100-1200	1000-1100	900-1000	—	—	—	—
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი	800-1000	800-1000	800- 900	800- 900	—	—	—
ფოსტამტებში ფოსტის გაცვლის პასუხისმგებელი მორიგე	800-1000	800-1000	700- 900	700- 800	—	—	—
საწარმოს ცვლის უფროსი	1300-1500	1200-1400	1100-1300	1000-1200	—	—	—
II. კავშირგაბმულობის კანტორა, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, ფოსტა-ტელეფონის კანტორა, რკინიგზით, წყლით და საჰაერო გზებით ფოსტის გადაზიდვის კანტორა. სპეციალური კავშირგაბმულობის მოსკოვის სამმართველო, „სოიუზპეჩატის" ცენტრალური საცალო კანტორა, ჟურნალ-გაზეთების შეკვეთათა დამუშავების ცენტრალური კანტორა, „სოიუზპეჩატის" მოსკოვის საქალაქო დირექცია. საფოსტო გადასახდელთა გამოცემისა და ექსპედირების დირექცია							
უფროსი	1900-2100	1800-2000	1600-1800	1400-1600	1250-1450	1150-1300	1050-1200
მთავარი ინჟინერი	1700-1900	1500-1700	1400-1600	1300-1450	—	—	—
რკინიგზით, წყლითა და საჰაერო გზებით ფოსტის გადაზიდვის განყოფილების უფროსის მორიგი თანაშემწე	1200-1400	1100-1300	1000-1200	900-1100	—	—	—
ტექნიკური, საექსპლუატაციო-ტექნიკური, საექსპლუატაციო, სატელეგრაფო და საფოსტო განყოფილებათა უფროსები	1300-1500	1200-1400	1100-1300	—	—	—	—
საგეგმო-საფინანსო შრომისა და ხელ-							

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ჯგუფებში (მანეთობით)						
	I	II	III	IV	V	VI	VII
ფასის, მომარაგების განყოფილებათა უფროსები	1300-1400	1200-1300	—	—	—	—	—
მთავარი ბუღალტერი ან უფროსი ბუღალტერი, რომელიც ხელმძღვანელობს საბუღალტრო აღრიცხვას . .	1300-1400	1200-1300	1100-1200	1000-1100	900-1050	850-1050	850-1050
დანარჩენ განყოფილებათა უფროსები (გარდა ადმინისტრაციულ-სამეურნეოსი)	1100-1200	1000-1100	900-1000	—	—	—	—
ადმინისტრაციულ-**სამეურნეო** განყოფილების უფროსი	800-1000	800-1000	800- 900	800- 900	—	—	—
ფოსტის გაცვლის პასუხისმგებელი მორიგე: კავშირგაბმულობის კანტორაში, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, ფოსტა ტელეფონის კანტორაში რკინიგზით, წყლითა და საჰაერო გზით ფოსტის გადაზიდვის განყოფილებებში .	800-1000	800-1000	700- 900	700- 800	700- 800	—	—
სპეციალური კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი რაიონულ ცენტრში	—	1000-1100	1000-1100	950-1050	900-1000	850-1000	850-1000
ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების რაიონული ორგანიზატორები (კავშირგაბმულობის კანტორებში)	—	—	900-1000	850- 950	800- 900	800	750

III. საკაბელო და რადიორელეის მაგისტრალის ტექნიკური ექსპლუატაციის რაიონი და კვანძი, სახაზო-ტექნიკური კვანძი ტექნიკური რადიოკონტროლის სადგური, რადიორელეის ხაზისა და რეტრანსლაციო სატელევიზიო სადგურის დირექტორი, რეტრანსლაციის **სატელევიზიო** სადგური, მიმღები სატელევიზიო ჭსელის დირექცია. ტელევიზიის ატელიე. სპეციალური კავშირგაბმულობის განყოფილება, სპეციალური კავშირგაბმულობის განყოფილება საოლქო ცენტრში, გზავნილებათა კონტროლის ბიურო, „სოიუზპეჩატის" საქალაქო დირექცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ჯგუფებში (მანეთობით)						
	I	II	III	IV	V	VI	VII
უფროსი	1700-1900	1500-1700	1400-1600	1250-1450	1150-1300	1050-1200	950-1150
მთავარი ინჟინერი	1500-1700	1400-1600	1300-1450	—	—	—	—
ტექნიკური, საექსპლუატაციო-ტექნიკური, საექსპლუატაციო განყოფილებათა უფროსები	1200-1400	1100-1300	—	—	—	—	—
საგეგმო-საფინანსო, შრომისა და ხელფასის, მომარაგების განყოფილებათა უფროსები	1200-1300	1100-1200	—	—	—	—	—
მთავარი ბუღალტერი ან უფროსი ბუღალტერი, რომელიც ხელმძღვანელობს საბუღალტრო აღრიცხვას	1200-1300	1100-1200	1000-1100	1000-1100	900-1050	850-1050	850-1050
დანარჩენ განყოფილებათა უფროსები (გარდა ადმინისტრაციულ-სამეურნეოსი)	1100-1200	1000-1100	—	—	—	—	—
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი	800-1000	800-1000	800- 900	800-900	—	—	—
IV. ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების საქალაქო განყოფილება, ბეჭდვითი სიტყვის დაკვეთათა დამუშავების კანტორა, ბეჭდვითი სიტყვის გავრცელების რაიონთაშორისი ხელის მოწერის და საცალო კანტორა							
უფროსი	1400-1600	1300-1500	1200-1400	1100-1300	1000-1200	—	—
მთავარი ბუღალტერი ან უფროსი ბუღალტერი, რომელიც ხელმძღვანელობს საბუღალტრო აღრიცხვას	1000-1200	950-1150	900-1100	850-1100	800-1050	—	—
5. კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოებისა და ორგანიზაციების სხვა მუშაკები							
საამქროს უფროსი (საწარმოო სამსახურისა):							
I ჯგუფის	1400-1600	1400-1600	—	—	—	—	—
II ჯგუფის	1300-1500	1300-1500	1300-1500	1300-1500	—	—	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ჯგუფებში (მანეთობით)						
	I	II	III	IV	V	VI	II
III ჯგუფის	1200-1400	1200-1400	1200-1400	1200-1400	—	—	—
საამქროს ცვლის უფროსი:							
I ჯგუფის	1200-1400	1200-1400	1200-1400	—	—	—	—
II ჯგუფის	1100-1300	1100-1300	1100-1300	—	—	—	—
საწარმოო უბნის უფროსი							
I ჯგუფის	1200-1400	1200-1400	1200-1400	1200-1400	—	—	—
II ჯგუფის	1100-1300	1100-1300	1100-1300	1100-1300	1100-1300	—	—
III ჯგუფის	1000-1200	1000-1200	1000-1200	1000-1200	1000-1200	—	—
უფროსი მორიგე ინჟინერი, რომელიც სათავეში უდგას მუშაობის განსაკუთრებით პასუხსაგებ უბანს, აღჭურვილს რთული მოწყობილობა-აპარატურით, საწარმოო ლაბორატორიის უფროსი	1100-1450	1100-1450	1100-1450	—	—	—	—
ყველა სპეციალობის უფროსი ინჟინრები, უფროსი მაგისტრალური ინჟინერ-ინსპექტორი, უფროსი ეკონომისტი, უფროსი დისპეტჩერი, საწარმოს მარეგულირებელი სახელოსნოს უფროსი	1050-1350	1050-1350	1050-1350	1050-1350	1000-1250	950-1200	950-1200
ყველა სპეციალობათა ინჟინრები, მაგისტრალური ინჟინერ-ინსპექტორი, ეკონომისტი, დისპეტჩერი	950-1200	950-1200	950-1200	950-1200	900-1100	850-1000	850-1000
კავშირგაბმულობის უფროსი ელექტრომექანიკოსი	750-1000	750-1000	750-1000	750-1000	750- 950	750- 950	750- 950
კავშირგაბმულობის ელექტრომექანიკოსი	700- 900	700- 900	700- 900	700- 900	700- 850	700- 850	700- 850
ყველა სპეციალობის უფროსი ტექნიკოსები, უფროსი ნორმადარი	750- 950	750- 950	750- 950	750- 950	750- 950	750- 950	750- 950
ყველა სპეციალობის ტექნიკოსები, ნორმადარი, საფოსტო ვაგონების ტექნიკური კონტროლიორი	700- 850	700- 850	700- 850	700- 850	700- 850	700- 850	700- 850

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ჯგუფებში (მანეთობით)						
	I	II	III	IV	V	VI	VII
უფროსი ინსტრუქტორი (რაიონთაშორისი ინსტრუქტორ-კონტროლიორი) საექსპლუატაციო და საექსპლუატაციო-ტექნიკური საკითხების დარგში	850-1050	850-1050	850-1050	850-1050	—	—	—
ინსტრუქტორები ექსპლუატაციისა და საექსპლუატაციო-ტექნიკური საკითხების დარგში	700- 850	700- 850	700- 850	700- 850	700- 850	700- 850	700- 850

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები

1. თანამდებობრივი განაკვეთები მოადგილეებს ენიშნებათ 15—25 პროცენტით ნაკლები, ვიდრე სათანადო ხელმძღვანელების თანამდებობრივი განაკვეთებია.

2. კავშირგაბმულობის საწარმოთა სადისპეტჩერო კვანძების უფროსებს თანამდებობრივი განაკვეთები ენიშნებათ კავშირგაბმულობის სათანადო საწარმოების უფროსთა მოადგილეების თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე.

3. იმ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც მუშაობენ საამქროებსა და უბნებში, სადაც შრომის მავნე პირობებია, იზრდება 10 პროცენტით.

4. თანამდებობრივი განაკვეთები საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების კავშირგაბმულობის ცენტრალური სადგურების და კავშირგაბმულობის ცენტრალური კვანძების ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის წესდება ამ დანართის I და V განაყოფებით გათვალისწინებული თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე.

   თანამდებობრივი განაკვეთები სხვა სამინისტროების, უწყებებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების კავშირგაბმულობის იმ საწარმოთა ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს (გარდა კავშირგაბმულობის საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური სადგურებისა და ცენტრალური კვანძებისა), რომლებიც იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე, ენიშნებათ თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე, რაც გათვალისწინებულია ამ დანართის II და V განაყოფებით.

5. თანამდებობრივი განაკვეთები კავშირგაბმულობის იმ კანტორების, სამსახურების, განყოფილებების, რადიოცენტრების, სადგურების, კვანძების, საამქროების, უბნების და სხვა ქვეგანაყოფების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც შედიან სამინისტროების, უწყებებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების (სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების კავშირგაბმულობის სამინისტროებს გარდა), სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ენიშნებათ იმ თანამდებობრივი განაკვეთების დონეზე, რაც დამტკიცებულია ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების დამხმარე საამქროების, სამსახურების და უბნების ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის, მაგრამ არა უმეტეს ამ დანართის V განაყოფით გათვალისწინებული თანამდებობრივი განაკვეთისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს 1960 წ. 31 მარტის
№ 372 დადგენილების დანართი № 3

თანამდებობრივი განაკვეთები

კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოების და ორგანიზაციების მოსამსახურეებისა და უმცროსი მომსახურე პერსონალისა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი (განაკვეთი მანეთობით)	
	I ჯგუფი	II ჯგუფი
მოსამსახურენი		
უფროსი ბუღალტერი, უფროსი საქონელმცოდნე, იურისკონსულტი, კავშირგაბმულობის I—II ჯგუფების საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური საწყობის გამგე, უფროსი ინსპექტორი, ანგარიშსწორების კანტორის გამგე, რევიზორი (საბუღალტრო, საფინანსო), მთავარი მოლარე	800-1050	700-900
ბუღალტერი, საქონელმცოდნე, მთარგმნელი, არქივის გამგე, მეურნეობის გამგე, ცხენთა ბაკის გამგე, საწყობის გამგე, პირადი შემადგენლობის მაგიდის გამგე, საჩივართა ბიუროს გამგე, კანცელარიის გამგე, უფროსი მოლარე, უფროსი ინკასატორი, ინსპექტორი, შიფრების გამხსნელი, მენიხრე . . .	700-850	600-750
საწერი მანქანების ბიუროს გამგე (უფროსი მემანქანე), სტენოგრაფიის გამგე, საშვთა ბიუროს გამგე, აგენტი, აგენტი-ექსპედიტორი, მოლარე, ინკასატორი, ქრონომეტრაჟისტი, უფროსი მოანგარიშე, უფროსი სტატისტიკოსი, ანგარიშმსოწრებელი; ტარიფიკატორი, კალკულატორი, მდივანი-სტენოგრაფისტი .	600-750	550-650
უფროსი მეტაბელე, აღმრიცხველი, მემანქანე, მდივანი-მემანქანე, მოანგარიშე, სტატისტიკოსი, საქმისწარმოებელი, არქივარიუსი, კომპტომეტრისტი ქალი, მხაზველი, ფოტოგრაფი, მეპასპორტე ცნობათა ბიუროს მორიგე, საშვთა ბიუროს მორიგე მეკუჭნავე, უფროსი მეთეთრეულე	550-650	500-600
განმწესებელი, როტატორზე მომუშავე, მეტაბელე, ფერთასლისამღები, ასლის ამღები, სტენოგრაფისტი, კანცელარიის ექსპედიტორი, მეთეთრეულე .	500-600	450-550

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობით)		
	I ჯგუფი	II ჯგუფი	
უმცროსი მომსახურე პერსონალი			
მეეზოვე, ეზოს მგველი, მეეტლე, მეჯინიბე, საყოფაცხოვრებო ბინების სათბობი ღუმელების მეცეცხლური, მეგარდერობე, მეაბანოე, წყლისამდუღებელი, დამლაგებლები: საშხაპოების, სანიტარული კვანძებისა, კონტორებისა და სხვა სასამსახურო ბინებისა	400,	425,	450
ლიფტიორი, შვეიცარი, ვახტიორი, დარაჯი, შიკრიკი დამლაგებელი, სატურატორი		400	

შენიშვნა: II ჯგუფის თანამდებობრივი განაკვეთები ენიშნებათ კავშირგაბმულობის V, VI და VII ჯგუფების რაიონული კანტორების, ფოსტის, გადაზიდვის, V, VI და VII ჯგუფების განყოფილებებისა და V ჯგუფის ბეჭდვითი სიტყვის გამავრცელებელი განყოფილების მოსამსახურეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1960 წ. 31 მარტის № 372
დადგენილების დანართი № 4

თანამდებობრივი განაკვეთები

კავშირგაბმულობის მუშაკთა მოსამზადებელი სასწავლებლების და სკოლების (პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ჩათვლით) საწარმოო სწავლების ოსტატებისა, უფროსი ოსტატებისა და სასწავლო-საწარმოო ნაწილის დირექტორებისა და დირექტორის მოადგილეებისა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობით)
1. საწარმოო სწავლების ოსტატი . . .	1000-1150
უფროსი ოსტატი, როცა მოსწავლეთა რაოდენობა:	
250 კაცამდეა	1100-1300
251-დან 500 კაცამდეა	1200-1350
500 კაცს აღემატება	1300-1400
სასწავლებლის, სკოლის დირექტორი, როცა მოსწავლეთა რაოდენობა:	
250 კაცამდეა	1400-1500
251-დან 500 კაცამდეა	1500-1600
500 კაცს აღემატება	1600-1700
სასწავლებლის, სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოო ნაწილში, როცა მოსწავლეთა რაოდენობა:	
აღწევს 250 კაცამდე	1300-1400
251-დან 500 კაცამდეა	1400-1500
500 კაცს აღემატება	1500-1600

შენიშვნა: თანამედბობრივი განაკვეთები სპეციალური სახელოსნო, სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საწარმოო სწავლების ოსტატებსა და უფროს ოსტატებს უდიდდებათ 10 პროცენტით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასლი

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 372

1960 წ. 31 მარტი

მოსკოვი, კრემლი

კავშირგაბმულობის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ

ამონაწერი:

საოქმო

19. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს საჭირო შემთხვევებში მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო მინისტრთა საბჭოების და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ იმ გაანგარიშებათა გათვალისწინებით, რაც შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტთან, გამოუყონ მოკავშირე რესპუბლიკებსა და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელფასის სათანადო ფონდი და ფულადი სახსრები კავშირგაბმულობის მუშაკთათვის შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს სათანადო ცვლილებანი სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს შემოსავალ-გასავლის ბალანსში და საკავშირო ბიუჯეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების ურთიერთ ანგარიშსწორებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიურ ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიურ ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს, რომ 1960 წლიდან დაწყებული, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიური პარტიების, ექსპედიციებისა და საწარმოების, აგრეთვე ბურღვისა და სამთო-სადაზვერვო ბრიგადების სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს შეაჯამებენ გეოლოგიური სამმართველო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის საქართველოს ტერიტორიული კომიტეტი ყოველკვარტალურად, არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, გეოლოგიური და საბუღალტრო ანგარიშების მონაცემების საფუძველზე გეოლოგიური პარტიების, ექსპედიციების, საწარმოებისა და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტების წარდგენით.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოს და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის საქართველოს ტერიტორიულ კომიტეტს შეიმუშაონ და დაამტკიცონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

სოციალისტური შეჯიბრების პირობებით გათვალისწინებულ იქნას:

როგორც ძირითადი მაჩვენებლები — სასარგებლო წიაღისეულთა მარაგის ზრდის დავალებების, გეოლოგიურ-სადაზვერვო, საძიებო, გეოლოგიურ-გადაღებითი, გეოფიზიკური, ჰიდროლოგიური და სხვა სახის სამუშაოთა ფიზიკური და ფულადი მოცულობის გეგმების, სამუშაოთა თვითღირებულების, ზეგეგმითი დაგროვებისა და შრომისნაყოფიერების გეგმების შესრულება; ხელფასის ფონდის ეკონომია; ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების შესრულება;

როგორც აღსარიცხავი მაჩვენებლები — გეოლოგიური ანგარიშებისა და გეოლოგიური რუკების დროულად წარდგენა და ჩაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება, მათი დაცვა კარგი შეფასებით; სასარგებლო წიაღისეულთა ახალი საბადოების აღმოჩენა, ცნობილი საბადოების ძირეული გადაფასება ან ახალი დამოუკიდებელი უბნების, მადნეულის სხეულთა, ფენების, ჰორიზონტებისა და ახალი სასარგებლო კომპონენტების გამოვლინება ცნობილ საბადოებზე; სამუშაოთა წარმოებისა და შრომის მოწინავე მეთოდების გამოცდილების განზოგადება, დანერგვა და გადაცემა; რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო წინადადებათა დანერგვა; მუშათა მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, უსაშიშრობის ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის საშუალებათა ათვისება; უსაშიშრობის ტექნიკისა და საწარმოო ტრავმატიზმის მდგომარეობა და სხვა მაჩვენებლები.

3. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივების წახალისების მიზნით, დაწესდეს:

ა) გეოლოგიური პარტიებისა, ექსპედიციებისა და საწარმოებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემიები;

ბ) ბურღვისა და სამთო-სადაზვერვო ბრიგადებისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის საქართველოს ტერიტორიული კომიტეტის თითო გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით, ერთი მეორე და ერთი მესამე ფულადი პრემიები.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის საქართველოს ტერიტორიული კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის ნიმუშები, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

5. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს იმ ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, პრემიების სკალა, № 3 დანართის თანახმად.

ბურღვისა და სამთო-სადაზვერვო ბრიგადებისათვის, რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, პრემიების ოდენობა დაწესდეს, № 4 დანართის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ გეოლოგიურ ორგანიზაციებსა და საწარმოებს პრემიები მიეცეთ ზეგეგმითი მოგების ან მოცემულ ორგანიზაციაში (საწარმოში) სამუშაოთა ღირებულების შემცირებისაგან საანგარიშო კვარტალში მიღებული ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, უკეთუ არის ზეგეგმითი მოგება წლის დამდეგიდან, ხოლო ბურღვისა და სამთო-სადაზვერვო ბრიგადებს — იმ პარტიის, ექსპედიციის ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რომელთა შემადგენლობაში ეს ბრიგადები შედიან.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოს და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის საქართველოს ტერიტორიულ კომიტეტს აწარმოონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება და გადაცემა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივისათვის ფულადი პრემიით.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოს და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების მუშათა პროფკავშირის საქართველოს ტერიტორიულ კომიტეტს ფართოდ განუმარტონ მუშა-მოსამსახურეებს სოციალისტური შეჯიბრების პირობები და დაწესებული სახის წახალისებანი, მიიღონ ზომები, რათა შეუქმნან მუშებს პირობები მათ მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **მ. ლელაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 29 აპრილი, № 305

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზი-
დიუმის 1960 წლის 29 აპრილის № 305
დადგენილების დანართი № 1

ნ ი მ უ შ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშისა

წინა მხარე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო
საქართველოს სსრ ღერბი
სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს მოწინავე კოლექტივს.

უკანა მხარე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ვ. ი. ლენინის ბარელიეფი
მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზი-
დიუმის 1960 წლის 29 აპრილის № 205
დადგენილების დანართი № 2

ნ ი მ უ შ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების მუშათა პროფკავშირის საქართველოს ტერიტორიული კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშისა

წინა მხარე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველო და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების მუშათა პროფკავშირის საქართველოს ტერიტორიული კომიტეტი.

საქართველოს სსრ ღერბი

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს მოწინავე კოლექტივს.

უკანა მხარე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ვ. ი. ლენინის ბარელიეფი

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზი-
დიუმის 1960 წლის 29 აპრილის № 305
დადგენილების დანართი № 3

ს კ ა ლ ა

პრემიებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს გეოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოებისა, რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს

გეოლოგიური ორგანიზაციებისა და საწარმოების განაწილება მომუშავეთა რიცხვის მიხედვით		პრემიის ოდენობა მანეთობით კვარტალში		
		პირველი პრემია	მეორე პრემია	მესამე პრემია
100-დან 150	კაცამდე . .	9000	6000	4000
151-დან 200	„	13000	9000	6000
201-დან 250	„	18000	12000	8000
251-დან 300	„	19500	13000	8500
300-დან 400	„	23000	15000	10000
401-დან 500	„	25000	6500	11000

შენიშვნა: პრემიები საწარმოებისათვის, სადაც მუშათა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, გაიცემა მუშაკთა რაოდენობის პროპორციულად იმ პრემიის თანხიდან, რაც დაწესებულია საწარმოებისათვის, სადაც მუშათა რიცხვი 100 კაცს უდრის.

იმ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შეჯიბრებაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას: საწარმოებში, სადაც დარიცხული პრემია 20 ათას მანეთზე ნაკლებია,—გამოყოფილი თანხის 100 პროცენტამდე, სადაც დარიცხული პრემია 20 ათას მანეთს აღემატება — საწარმოსათვის დარიცხული პრემიის 60—70 პროცენტამდე. პრემიის დანარჩენი ნაწილი გამოყენებულ იქნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის.

სახსრები, რაც მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალურ დაჯილდოებას სმარდება, უნდა შეადგენდეს საწარმოს მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში მათი ხელფასის ფონდის პროპორციულ თანხას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოთა უფროსები, მთავარი ინჟინრები (ტექნიკური ხელმძღვანელები) და მთავარი ბუღალტრები (უფროსი ბუღალტრები მთავარი ბუღალტრების უფლებებით) საწარმოსათვის პირველი პრემიის მინიჭების დროს შეიძლება დაჯილდოებულ იქნან თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე, მეორე პრემიის მიკუთვნებისას — 40 პროცენტამდე და მესამე პრემიის მიკუთვნებისას — 30 პროცენტამდე.

სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების მთელ სახსრებს ხარჯავენ საწარმოთა ხელმძღვანელები პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზი-
დიუმის 1960 წლის 29 აპრილის № 305
დადგენილების დანართი № 4

პრემიების ოდენობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს მბურღავი და სამთოგვირაბგამყვანი ბრიგადებისათვის

1. მბურღავთა ბრიგადები

პირველი	პრემია	8	ათასი	მანეთი
მე-2	„	6	„	„
მე-3	„	4	„	„

2. სამთოგვირაბგამყვანი ბრიგადები

პირველი	პრემია	2,5	ათასი	მანეთი
მე-2	„	2,0	„	„
მე-3	„	1,5	„	„

შენიშვნა: მბურღავი და სამთოგვირაბგამყვანი ბრიგადებისათვის მინიჭებული პრემიები მთლიანად იხარჯება მუშების, ცვლის ოსტატებისა და უფროსი ოსტატის დასაჯილდოებლად.

მექანიკური ბურღვის უფროსი ოსტატები შეიძლება დააჯილდოონ გეოლოგიური პარტიებისა და ექსპედიციების ხელმძღვანელებმა ნახევარი თვის განაკვეთის ფარგლებში, ხოლო სამთო ათისთავები — თვიური განაკვეთის 0,3-ის ოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

2. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დასაჯილდოებლად:

ა) დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 15 ათასი მანეთის რაოდენობით;

ბ) ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს დააწესონ გარდამავალი წითელი დროშა 8 ათასი მან. პირველი პრემიით და ერთი მეორე პრემია 5 ათასი მანეთის ოდენობით.

აღნიშნული პრემიები გაიცეს ხელფასის ფონდის ხარჯზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს სასწავლებლების ხარჯთაღრიცხვებით.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს ერთობლივად შეიმუშაონ და დაამტკიცონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

4. დაეკისროთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება თვითეული კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **მ. ლელაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 29 აპრილი, № 306

22 კოლმეურნეობებში მშენებლობასთან დაკავშირებული საპროექტო-საძიებო სამუშაოების დაფინანსების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 იანვრის № 72 დადგენილება „საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურების, ელექტროქსელის, სამელიორაციო სისტემებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული საპროექტო-საძიებო სამუშაოების და სოფლის დასახლებული ადგილების დაგეგმვა-განაშენიანების პროექტებისა და სქემების შედგენის სამუშაოების დაფინანსების წესის შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას განსაზღვროს ყოველწლიურად, საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმის პროექტის შემუშავების დროს, იმ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა შეკვეთები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის და სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე წარმოებს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინოს საქართველოს სსრ ბიუჯეტით საჭირო სახსრები საპროექტო ორგანიზაციების მიერ იმ სამუშაოების შესასრულებლად, რომლებიც აღნიშნულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 იანვრის № 72 დადგენილების 1 მუხლის „გ" ქვეპუნქტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 7 მარტი, № 122

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 72

1960 წლის 20 იანვარი

მოსკოვი, კრემლი

საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურების, ელექტროქსელის, სამელიორაციო სისტემებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული საპროექტო-საძიებო სამუშაოების და სოფლის დასახლებული ადგილების დაგეგმვა-განაშენიანების პროექტებისა და სქემების შედგენის სამუშაოების დაფინანსების წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დადგენილ იქნას საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურების, ელექტროქსელის, სამელიორაციო სისტემებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული საპროექტო-საძიებო სამუშაოთა და სოფლის დასახლებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების და სქემების შედგენის სამუშაოთა დაფინანსების შემდეგი წესი:

ა) საპროექტო-საძიებო სამუშაოებს მშენებლობისათვის, რომელიც მთლიანად ხორციელდება კოლმეურნეობათა სახსრების ხარჯზე, გარდა ამ მუხლის „გ" ქვეპუნქტში ჩამოთვლილი სამუშაოებისა, ასრულებენ საპროექტო ორგანიზაციები კოლმეურნეობებთან ან საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებებით კოლმეურნეობათა სახსრების ხარჯზე.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს კოლმეურნეობებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო აღმასკომების და საოლქო აღმასკომების შუამდგომლობებით, საჭირო შემთხვევებში კრედიტი სამ წლამდე ვადით იმ საპროექტო-საძიებო სამუშაოების ასანაზღაურებლად, რომლებიც წარმოებს საკოლმეურნეობათაშორისო ობიექტებისა და ნაგებობების (წყალთა მეურნეობის ნაგებობანი, სატრანსფორმატორო ქვესადგურები და მაღალვოლტიანი ელექტროგადაცემის ხაზები კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციისათვის, საცავი ტყის გაშენება და ტორფის საბადოების დამუშავება) მშენებლობისათვის, აგრეთვე კოლმეურნეობათა არსებული დაბების დაგეგმვა-განაშენიანების პროექტებისა და და სქემების შედგენის სამუშაოთა და 100 კვტ-ზე მეტი სიმძლავრის საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საძიებო სამუშაოთა ასანაზღაურებლად;

ბ) საპროექტო-საძიებო სამუშაოები სოფელ ადგილებში ობიექტების და ნაგებობათა სახელმწიფო სახსრების მოზიდვით მშენებლობის განსახორციელებლად წარმოებს მთლიანად (მშენებლობის მთელი მოცულობისათვის, მისი იმ ნაწილის ჩათვლით, რომელსაც კოლმეურნეობები ასრულებენ) იმ სახსრების ანგარიშში, რომლებიც გამოიყოფა კაპიტალურ დაბანდებათა სახელმწიფო გეგმით საპროექტო-საძიებო სამუშაოებისათვის;

გ) ელექტრომომარაგებისა და სამელიორაციო მშენებლობის პერსპექტიული სქემების, რაიონული დაგეგმვის (სასოფლო რაიონების), პროექტებისა და სქემების, სოფელ ადგილებში არსებული რაიონული ცენტრების, ახალი სასოფლო დაბების და იმ დაბების დაგეგმვა-განაშენიანების პროექტებისა და სქემების შედგენის სამუშაოები, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია სახელმწიფო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულებები მომსახურებას უწევენ მხოლოდ მოცემულ კოლმეურნეობას), წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით;

დ) საპროექტო-საძიებო სამუშაოები აგროსატყეოსამელიორაციო, ჰიდროსატყეოსამელიორაციო და სატყეო მეურნეობის ღონისძიებათა განსახორციელებლად წარმოებს იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და სახალხო მეურნეობების საბჭოების საფინანსო გეგმებით აღნიშნულ ღონისძიებათა განსატარებლად.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები განსაზღვრავენ იმ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა შემკვეთებს, რომლებიც წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის და სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა სახსრების ხარჯზე.

2. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ყოველწლიურად გაითვალისწინოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით სახსრები, რომლებიც სჭირდებათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საპროექტო ორგანიზაციების მიერ ამ დადგენილების 1 მუხლის „გ" ქვეპუნქტში აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად იმ გეგმების მიხედვით, რომლებსაც მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები დაამტკიცებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

დაწესდეს, რომ 1960 წელს აღნიშნული საპროექტო-საძიებო-სამუშაოების შესასრულებლად ხარჯები გაიწევა ამ მიზნებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების 1960 წლის საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში.

3. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 7 მარტი. № 125

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 7 მარტის № 125
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი არის რესპუბლიკური ორგანო, შექმნილი თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1957 წლის 29 მაისს მიღებული კანონისა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის მთავარი ამოცანაა:

ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების შესწავლა, ამ მიღწევების ფართო პროპაგანდა, რესპუბლიკაში უმნიშვნელოვანესი სამუშაოების კოორდინაცია ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის საქმეში;

კონტროლი ახალი ტექნიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში მისი დანერგვისადმი, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების დროს ემყარება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე წამყვან საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევითს და საპროექტო ინსტიტუტებს, საკონსტრუქტორო ბიუროებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეისწავლის ტექნიკის განვითარების მდგომარეობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განაზოგადებს და გაავრცელებს ტექნიკის და წარმოების მოწინავე გამოცდილების მიღწევებს; განიხილავს სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებში ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა საკითხებს; მოამზადებს წინადადებებს კომპლექსური ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს მოხსენებებს სახალხო მეურნეობაში ტექნიკის მდგომარეობისა და მისი განვითარების მიმართულებათა შესახებ;

ბ) საიდუმლო;

გ) შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად კვლევითი და საცდელი სამუშაოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებებს, რომლებიც უზურნველყოფენ ახალი ტექნიკის და მოწინავე ტექნოლოგიის შექმნის, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ვადების შემცირებას;

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად:

განიხილავს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მიერ შესათანხმებლად უმნიშვნელოვანესი სახის ახალი ტექნიკის და მოწინავე ტექნოლოგიის განვითარების და დანერგვის, უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-საკვლევი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შესრულების გეგმების წარმოდგენილ პროექტებს;

შეიმუშავებს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მიერ წარმოდგენილი გეგმების აღნიშნული პროექტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის საფუძველზე წინადადებებს უმნიშვნელოვანესი სახის ახალი ტექნიკის და მოწინავე ტექნოლოგიის განვითარებისა და დანერგვის, რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შესრულების შესახებ და შეუთანხმებს მათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს; შეიმუშავებს და შეათანხმებს აგრეთვე წინადადებებს ახალი სახის მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოების, მასალებისა და სხვა პროდუქციის წარმოებაში დაყენების შესახებ, აგრეთვე წინადადებებს მოძველებული სახის პროდუქციის წარმოებიდან მოხსნის შესახებ;

ე) მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ მანქანებისა და ხელსაწყოების ტიპაჟების შემუშავებაში, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი სახის მოწყობილობის დაპროექტების ტექნიკურ დავალებათა განხილვაში;

ვ) განახორციელებს კონტროლს უმნიშვნელოვანესი სახის ახალი ტექნიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში დანერგვის დავალებათა შესრულებისადმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს მოხსენებებს ამ დავალებათა შესრულების შესახებ;

ზ) მონაწილეობას მიიღებს საჭიროების დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და სამინისტროების მიერ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის საპროექტო დავალებათა ტექნოლოგიური ნაწილის განხილვაში;

თ) შეიმუშავებს შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად, ახალი ტექნიკის დანერგვის ღონისძიებათა ეკონომიური ეფექტიანობისა და ანაზღაურების ვადების განსაზღვრის მეთოდიკას;

ი) თვალყურს ადევნებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაობას; განიხილავს და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ექსპონატების სიებს სახალხო მეურნეობის მიღწევათა ჩვენი ქვეყნის გამოფენებზე საჩვენებლად;

კ) ეწევა ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების და წარმოების მოწინავე გამოცდილების ფართო პროპაგანდას, გამოსცემს სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას; განახორციელებს რესპუბლიკაში ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას და მეთოდიკურ ხელმძღვანელობას მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გამოცემის და უცხოეთის სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურისა და დოკუმენტაციის თარგმნის ორგანიზაციის სამუშაოთა კოორდინაციას;

ლ), მ), ნ) საიდუმლო;

ო) ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობას.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი ჩააბამს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს მათი თანხმობით ახალი ტექნიკის საკითხების შემუშავების, ტექნიკის მიღწევათა პროპაგანდის და სამეცნიერო და საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების გაზიარების საქმეში.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) განახორციელოს იმის შემოწმება, თუ როგორ ასრულებენ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები, უწყებები, ცალკეული საწარმოები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები ახალი ტექნიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში დანერგვის უმნიშვნელოვანეს დავალებებს, აგრეთვე მოისმინოს აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოხსენებანი ამ საკითხებზე და მიიღოს მათ გამო დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებული გადაწყვეტილებანი;

ბ) შექმნას კომისიები, ბრიგადები და ჯგუფები, მოიწვიოს მათში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის ორგანიზაციებთან შეთანხმებით მაღალკვალიფიციური მეცნიერები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და წარმოების ნოვატორი მუშები, რათა განიხილონ და მოამზადონ წინადადებანი ახალი ტექნიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მიღწევების დანერგვის პრობლემებზე;

გ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, მეცნიერებათა აკადემიასთან და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან შეთანხმებით:

— აძლიოს სამეცნიერო-კვლევითს და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს დავალებანი მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების შემუშავების და საცდელ-სამრეწველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოთა შესრულების შესახებ ახალი ტექნიკის დანერგვისათვის ცალკეულ წინადადებათა შესამოწმებლად;

— მოიწვიოს აღნიშნულ ორგანიზაციათა სპეციალისტები და წარმოების ნოვატორი მუშები კონსულტაციისათვის ცალკეულ სამეცნიერო-ტექნიკურ საკითხებზე;

დ) მოიწვიოს დადგენილი წესით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად. სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციები და თათბირები სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის საკითხების განსახილველად;

ე) გამოაცხადოს კონკურსები ახალი მასალებისა და მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიური და საწარმოო პროცესების შემუშავებისათვის;

ვ) მიიღოს კომიტეტზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად საჭირო მასალები:

სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან, მეცნიერებათა აკადემიისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისაგან—მათ მიერ დამტკიცებული გეგმები ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვისა, ცნობები სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებში ტექნიკის მდგომარეობის შესახებ წინადადებებით მათი განვითარების მიმართულებათა შესახებ, მონაცემები გეგმების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ;

ს ა ი დ უ მ ლ ო;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტატისტიკური სამმართველოსაგან—საანგარიშო მონაცემები წარმოების გეგმების, ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის გეგმების შესრულების შესახებ, ცნობები სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შესახებ, ცნობები საზღვარგარეთის ქვეყნების მრეწველობის განვითარების დონისა და ტემპების შესახებ და სხვა სტატისტიკური მასალები დაწესებული ანგარიშგების ფარგლებში, რომლებიც კომიტეტს სჭირდება მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეული სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისაგან—სამუშაოთა გეგმები და ინფორმაციას უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების შესახებ.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები, რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომიტეტის მუშაობას, გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, შეამოწმებს მათ შესრულებას; დადგენილი წესით შექმნის, გადააკეთებს და გააუქმებს კომიტეტის დაწესებულებებს, საწარმოებს და სხვა ორგანიზაციებს; დაამტკიცებს დებულებებს კომიტეტის განყოფილებების, მთავარი სპეციალისტების შესახებ და დებულებებს მისდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების შესახებ, დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს კომიტეტის აპარატის მუშაკებს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის სტრუქტურას და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და თავისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 **სქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 7 მარტი, № 126

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 7 მარტის № 126
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო შექმნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 აგვისტოს № 662 დადგენილების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

ა) პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის განვითარება და სრულყოფა საქართველოს სს რესპუბლიკაში, კვალიფიციურ მუშათა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება ტექნიკური პროგრესის მოთხოვნისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის შესაბამისად;

ბ) ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში მუშათა მომზადებისადმი ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის წრიდან, ხელმძღვანელობა და დახმარების გაწევა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესის მოწყობასა და გაუმჯობესებაში, მუშათა მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში უშუალოდ საწარმოებში, სასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების მოწყობა;

გ) მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო შრომითი რესურსების აღრიცხვა და განაწილება დადგენილი წესით, აგრეთვე მუშათა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შინაარსის, ორგანიზაციისა და მეთოდიკის ძირითადი საკითხების შემუშავება.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო:

ა) შეიმუშავებს გეგმებს კვალიფიციურ მუშათა მომზადებისა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, აგრეთვე უშუალოდ წარმოებაში სახალხო მეურნეობის საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების და უწყებების საწარმოებისა და მშენებლობებისათვის;

ბ) შეიმუშავებს რესპუბლიკაში ტექნიკური პროგრესის შესაბამისად პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარების ძირითად მიმართულებებს, შეისწავლის პროფესიულ-ტექნიკური განათლების მდგომარეობას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარმოუდგენს წინადადებებს მისი შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის;

გ) მოაწყობს მუშაობას პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის მიღებისათვის და უზრუნველყოფს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეურნეო საქმიანობის ოპერატიულ ხელმძღვანელობას;

დ) უზრუნველყოფს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დაფინანსებასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, მოაწყობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ახალ სასწავლებლებს, შეადგენს და განახორციელებს პროფესიულ-ტექნიკური სასაწვლებლების მშენებლობის გეგმებს;

ე) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მოთხოვნების შესაბამისად, შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს იმ პროფესიათა სიებს, რომელთა მიხედვით ხორციელდება კვალიფიციურ მუშათა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა მომზადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და უშუალოდ საწარმოებში და თვითეული პროფესიის სწავლების ვადებს;

ე) განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ სწორად იქნას გამოყენებული პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მუშათა კადრების უშუალოდ წარმოებაში მომზადებისა და ტექნიკური სწავლების დროს, სასწავლო გეგმები, პროგრამები და სხვა სასწავლო და ნორმატული დოკუმენტაცია;

ზ) შეისწავლის, განაზოგადებს და გაავრცელებს პროფესიულ-ტექნიკური განათლების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას, დადგენილი წესით მოაწყობს გამოფენებს პროფესიულ-ტექნიკური განათლების საკითხებზე;

თ) მოაწყობს პროფესიულ-ტექნიკური განათლების კადრების გადამზადებასა და დახელოვნებას;

ი) გაანაწილებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებსა, სახალხო მეურნეობის საბჭოსა, საკავშირო-რესპუბლიკურ და საერთო-საკავშირო სამინისტროებსა და უწყებებს შორის მომზადებულ კვალიფიციურ მუშებს დამტკიცებული გეგმის თანახმად;

კ) განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ სწორად იქნან გამოყენებული ახალგაზრდა მუშები, რომლებიც გაგზავნილი არიან სამუშაოდ სწავლების დამთავრების შემდეგ;

ლ) პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად განიხილავს დადგენილი წესით პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს;

მ) მოიწვევს დადგენილი წესით კონფერენციებსა და თათბირებს პროფესიულ-ტექნიკური განათლების საკითხებზე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, უფროსს და მის მოადგილეებს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს მთავარ სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მთელ საქმიანობას;

ბ) გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად და შეამოწმებს მათ შესრულებას;

გ) დაამტკიცებს დებულებებს მთავარი სამმართველოს სამმართველოებისა და განყოფილებების და მთავარ სამმართველოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების შესახებ;

დ) დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს მთავარ სამმართველოს მუშაკებს და უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელ მუშაკებს.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოში შეიქმნება კოლეგია მთავარი სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მთავარი სამმართველოს უფროსის წარდგენით.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებებით.

მთავარ სამმართველოს უფროსსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მთავარი სამმართველოს უფროსი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავიანთ მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და თავისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 **მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საწარმოს ფონდის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოქმედების კომუნალურ და ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და მეურნეობებზე გავრცელების თაობაზე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 თებერვლის № 167 დადგენილება „მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საწარმოს ფონდის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოქმედების კომუნალურ და ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და მეურნეობებზე გავრცელების თაობაზე“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 თებერვლის № 167 დადგენილებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 ივლისის № 686 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 7 მარტი, № 130

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 167

1960 წლის 17 თებერვალი

მოსკოვი, კრემლი

მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საწარმოს ფონდის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მოქმედების კომუნალურ და ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და მეურნეობებზე გავრცელების თაობაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ გარდაიქმნას კომუნალურ და ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და მეურნეობებში დირექტორის ფონდი მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საწარმოს ფონდად და რომ გავრცელდეს ამ საწარმოებსა და მეურნეობებზე მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილებით დამტკიცებული დებულების საწარმოს ფონდის შესახებ.

2. მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საწარმოს ფონდი შეიქმნება მოკავშირე, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების კომუნალურ (გარდა სახლმმართველობებისა და საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებისა) და ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და მეურნეობებში, რომლებიც იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე დამოუკიდებელი ბალანსით და რომლებმაც მთლიანად ან გადაჭარბებით შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების (მომსახურების) გეგმა, თვითღირებულების შემცირების დავალება და პროდუქციის რეალიზაციით მიღებულ მოგებათა (მომსახურების) გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალურ და ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და მეურნეობებში მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საწარმოს ფონდში ანარიცხები იწარმოებს იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია რაიონული და საქალაქო დაქვემდებარების მრეწველობის საწარმოებისათვის მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების და წარმოების სრულყოფის საწარმოს ფონდის დებულების მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტით.

კომუნალურ და ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და მეურნეობებში მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის საწარმოს ფონდი შეიქმნას 1960 წლიდან სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით.

3. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1960 წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 27 ივნისის № 2246 დადგენილება და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 2 მაისის № 5208, 1948 წლის 14 ოქტომბრის № 14940, 1951 წლის 30 იანვრის № 1071, 1951 წლის 30 ნოემბრის № 22972 და 1952 წლის 16 თებერვლის № 3198 განკარგულებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ფ. კოზლოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

26 სავაჭრო ორგანიზაციების განთავისუფლების შესახებ რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაციისაგან მათი გაყიდვის დროს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ვინაიდან რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაცია უშუალოდ მაღაზიებში გაუმართლებელ სიძნელეებს უქმნის მაღაზიებს ამ ნაკეთობათა გაყიდვის დროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 24 ოქტომბრის № 702 დადგენილების მე-8 მუხლი, რომელიც სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრო ორგანიზაციებს აკისრებს მოვალეობას რეგისტრაციაში გაატარონ მყიდველთათვის რადიომიმღებები და ტელევიზორები მათი გაყიდვის დროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 11 მარტი, № 155

27 იმ შენობათა შესაფასებლად ნორმების დამტკიცების შესახებ, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით საქართველოს სსრ სოფელ ადგილებში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი, სახელმწიფო დაზღვევის მიზნებისათვის შემუშავებული ნორმები, ზონების მიხედვით განაწილებული, იმ შენობათა შესაფასებლად, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით საქართველოს სსრ სოფელ ადგილებში, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და კულტურის სამინისტროს პოლიგრაფგამომცემლობამ გამოსცენ რუსულ და ქართულ ენებზე ნორმების კრებული იმ შენობათა შესაფასებლად, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით საქართველოს სსრ სოფელ ადგილებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს:

ა) უზრუნველყოს 1960—1962 წლების განმავლობაში იმ შენობების საყოველთაო შეფასება, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით საქართველოს სსრ სოფელ ადგილებში, ამ დადგენილებით დამტკიცებული ნორმების მიხედვით და სისტემატური კონტროლი გაუწიოს შენობების შეფასების მიმდინარეობასა და ხარისხს, ამასთან დროზე აღმოფხვრას მუშაობაში გამოვლინებული ნაკლოვანებანი;

ბ) მოაწყონ მოსახლეობაში მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმ შენობათა შეფასების მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით სოფელ ადგილებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და შესაბამისი საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) უზრუნველყონ სასოფლო საბჭოების წარმომადგენლების საყოველთაო მონაწილეობა სოფელ ადგილების მოქალაქეთა კუთვნილი შენობების შეფასებაში და ამ შენობათა შეფასების შედეგების დროულად განხილვა და დამტკიცება სასოფლო საბჭოების მიერ;

ბ) კონტროლი გაუწიონ შენობათა შეფასების მიმდინარეობასა და სისწორეს და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) ყოველგვარი დახმარება გაუწიონ საფინანსო და სადაზღვევო ორგანოებს მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობაში შენობათა შეფასების მნიშვნელობის შესახებ და მიიღონ ზომები, რათა ეს შეფასება ყველგან ჩატარდეს სწორად და ამ დადგენილებით დაწესებულ ვადაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი. 1960 წლის 23 მარტი. № 171

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 23 მარტის № 171
დადგენილების დანართი № 1

შეჯამებითი ცხრილი

ნორმებისა იმ ტიპობრივი საცხოვრებელი შენობების შესაფასებლად, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით საქართველოს სსრ სოფელ ადგილებში

(მანეთობით)

შენობათა ტიპები	შენობის დასახელება, მისი ოდენობა, კუბატურა ან ფართობი	ზომის ერთეული	ზონები I	ზონები II
	ერთსართულიანი ხის საცხოვრებელი სახლები			
ედ-1	ხალასი კედლები ფიცრისა ძელებისაგან, დამზადებული კარკასით, საძირკვლები აგურის ბოძებზე	1 კუბ. მ	46	52
ედ- 2	ხალასი კედლები ფიცრისა ძელებისაგან დამზადებული კარკასით, საძირკვლები აგურის მაღალ ბოძებზე.	„	46	51
ედ- 3	ფიცრის კედლები კარკასზე შემოფიცრული, ყავარშემოკრული და შელესილი, საძირკვლები აგურის ბოძებზე	„	52	56
ედ- 4	მორების კედლები შიგნიდან შელესილი, საძირკვლები ქვის დაბალ ბოძებზე	„	66	70
ედ- 5	ფიცრის კედლები კარკასით	„	26	35
	საცხოვრებელი სახლები ერთსართულიანი ქვიტკირისა			
ედ- 6	ხეაგურის კედლები. 0,5 აგურის სისქისა, მობათქაშებული საძირკვლები აგურის ბოძებზე	„	50	58
ედ- 7	სახლი ნახევარსარდაფით. ნახევარსარდაფის კედლები ყორისა, პირველი სართულის — აგურისა, მობათქაშებული	„	43	48
ედ- 8	კედლები ბეტონის ქვისაგან ცოკოლით, საძირკვლები ლენტური ყორისა	„	45	57
ედ- 9	კედლები ბზის ბლოკებისაგან. მობათქაშებული საძირკვლები ყორისა ლენტური	„	28	31
ედ-10	ყორის კედლები ლენტურ საძირკველზე	„	33	32
ედ-11	ყორის კედლები ლენტურ საძირკველზე	„	34	34
ედ-12	ოიყისქვის კედლები აგურის ჰორიზონტალური შუაშრეებით, სიოები აგურით შემოკეთებული. საძირკვლები ყორისა ლენტური	„	43	49

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობათა ტიპები	შენობის დასახელება, მისი ოდენობა, კუბატურა ან ფართობი	ზომის ერთეული	ზონები I	ზონები II
ყდ-13	რიყასქვისა და აგურის კედლები. საძირკვლები ყორისა ლენტური	კუბ. მ	63	70
ყდ-14	რიყისქვისა და აგურის კედლები, საძირკვლები ყორისა ლენტური	„	48	54
ყდ-15	პირველი სართულის ხახვევარსარდაფის კედლები ყორისა, საძირკვლები ყორისა ლენტური	„	35	34
ყდ-16	კედლები ყორისა, საძირკვლები ყორისა ლენტური	„	37	36
ყდ-17	სახლი ხახვევარსარდაფიანი. კედლები ყორისა, საძირკვლები ყორისა ლენტური	„	33	30
	ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები			
ყდ-18	პირველი სართულის კედლები ყორისა, მეორე სართულის—ფიცრისა კარკასით, საძირკვლები ყორისა ლენტური	„	29	30
ყდ-19	პირველი სართულის კედლები აგურისა, მეორე სართულის — ხალასი ფიცრისა კარკასით, საძირკვლები ლენტური, ყორისა	„	33	38
ყდ-20	პირველი სართულის კედლები ბეტონქვისა, მეორე სართულის — ხალასი ფიცრისა კარკასით, საძირკვლები ყორისა ლენტური	„	39	42
ყდ-21	პირველი და მეორე სართულების კედლები ფიხისაგან	„	41	44
ყდ-22	პირველი სართულის კედლები ყორისა, მეორე სართულის — ხალასი ფიცრისა კარკასით, საძირკვლები ლენტური, ყორისა	„	29	31
ყდ-23	პირველი სართულის კედლები ყორისა, მეორე სართულის — ჩაჭრილი, საძირკვლები ლენტური, ყორისა	„	39	41
ყდ-24	პირველი და მეორე სართულების კედლები ყორისა, საძირკვლები ლენტური, ყორისა	„	31	30
ყდ-25	პირველი და მეორე სართულების კედლები ბეტონის ქვისა, საძირკვლები ყორისა, ლენტური	„	37	52
ყდ-26	პირველი და მეორე სართულების კედლები — რიყის ქვისა აგურის ჰორიზონტალური შუაშრეებით ორ მწკრივად, კარ-ფანჯრების სიოების შემოკეთებით, საძირკვლები ლენტური ყორისა	„	35	40
ყდ-27	პირველი სართულის კედლები ყორისა, მეორე სართულის — აგურისა, საძირკვლები ლენტური, ყორისა	„	41	46

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობათა ტიპები	შენობის დასახელება, მისი ოდენობა, კუბატურა ან ფართობი	ზომის ერთეული	ზონები I	ზონები II
ჟდ-28	პირველი და მეორე სართულების კედლები ხალასი ფიცრისა კარკასით ძელებისაგან	1 კუბ. მ	29	32
ჟდ-29	პირველი და მეორე სართულების კედლები რიყისქვისა აგურის ჰორიზონტალური შუაშრეებით. კარ-ფანჯრების სიოები აგურით შემოკეთებული. საძირკვლები ლენტური. ყორისა	„	37	41
ჟდ-30	პირველი და მეორე სართულების კედლები რიყისქვისა აგურის ჰორიზონტალური შუაშრეებით. კარ-ფანჯრების სიოები აგურით შემოკეთებული. საძირკვლები ლენტური, ყორისა	„	40	45
ჟდ-31	პირველი და მეორე სართულების კედლები აგურისა. საძირკვლები ლენტური, ყორისა	„	44	53
	სასიმინდეები			
ნ3-1	კედლები — ქვედა ნაწილი — ყორისა, ზედა ნაწილი — წნელისა. საძირკვლები ყორისა	„	29	30
ნ3-5	კედლები — ჩაჭრილი, ყორის მაღალ ბოძებზე	„	78	81
ნ3-7	კედლები — წნელისა სარების ერთ მწკრივზე მორების მაღალ ბოძებზე	„	48	50
	ფარდული, თავლა, ბოსელი და ცალკემდგომი სამზარეულო			
ნ3-3	კედლები ბზე-თიხისა, ალიზისა უბლოკებოდ, საძირკვლები ყორისა, ლენტური	„	17	20
ნ3-4	ფიცრის კედლები შემოფიცრული კარკასით	„	23	25
ნ3-6	კედლები და საძირკვლები ყორისა	„	28	28
	მ ა რ ა ნ ი			
ნ3-2	კედლები, თიხა-ბზისა ბლოკებისაგან. საძირკვლები ყორისა	„	17	18
	აივნები			
ბ-1	ღია, ხისა აგურის ბოძებზე მოაჯირებით, ჭერის ხალასი შემოფიცვრით, ფიცრის იატაკით	1 კვმ	89	96

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობათა ტიპები	შენობის დასახელება, მისი ოდენობა, კუბატურა ან ფართობი	ზომის ერთეული	ზონები I	ზონები II
3-2	ღია ხის აივანი ბოძებზე ჭერის შეუფიცრავად, ხალასი ფიცრის მოაჯირებით, ფიცრის იატაკით წოლებზე	1 კვმ	55	59
3-3	ღია ორსართულიანი ხის ბოძებზე აგურის ტორსული კედლებით, ფიცრის იატაკით II სართულზე და თიხის იატაკებით პირველ სართულზე	"	66	76
3-4	ხის მომინული ვერანდა აგურის ბოძებზე, ფიცრის იატაკით, ჭერის შემოფიცვრით	"	65	69
	ღობე			
143	შტახეტურის ხისა, 1,3 მ სიმაღლისა	გრძ.მ	14	15
144	შეღებილი ნაგვერდულებისაგან 1,8 მ სიმაღლისა	"	9	10
	ჭიშკარი			
	ხალასი შემოფიცვრით და ხელსაწყოების დადგმით	კვ. მ	21	23

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაჭაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 23 მარტის № 171
დადგენილების დანართი № 2

ბ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ რაიონებისა ზონების მიხედვით იმ შენობების შესაფასებლად სოფელ ადგილებში, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით

პირველი ზონა

ბაგრის, ბალის, გუდაუთის, ოჩამჩირის, სოხუმის, ბათუმის, ქობულეთის, სტალინირის, აბაშის, ახალციხის, ბორჯომის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ქარელის, კასპის, ლანჩხუთის, მახარაძის, მარნეულის, მცხეთის, ორჯონიკიძის, ფოთის, საგარეჯოს, საჩხერის, სამტრედიის, სამგორის, ტყიბულის, თელავის, ხაშურის, ხობის, წითელწყაროს, წყალტუბოს, ცხაკაიასა და ჯიათურის რაიონები.

მეორე ზონა

ქედის, შუახევის, ხულოს, ზნაურის, ლენინგორის, ჯავის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, ამბროლაურის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, გეგეჭკორის, ვანის, დმანისის, დუშეთის, ყაზბეგის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მესტიის, ონის, სიღნაღის, თიანეთის, თეთრიწყაროს, თერჯოლის, ცაგერის, წალკის, წალენჯიხის, წულუკიძის, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

28 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულება, რომელიც დამტკიცებულია სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 2 დეკემბრის № 678 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 2 აპრილი. № 192.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 2 აპრილის № 192
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია არის საერთო-რესპუბლიკური სამეცნიერო საგეგმო-ეკონომიური ორგანო, რომელიც ახორციელებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვას და სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულების შემოწმებას.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს გეგმებში, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესაბამისად, მაღალი ტემპები და საჭირო პროპორციულობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებაში, როდესაც უპირატესობრივად იზრდება მძიმე ინდუსტრია, სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკული პროობლემების ყველაზე მეტი ეკონომიური გადაწყვეტა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ფართოდ დანერგვის, საწარმოო ძალთა განლაგების გაუმჯობესების, მატერიალური, შრომითი და ბუნებრივი რესურსების ყველაზე ეფექტიანად გამოყენების საფუძველზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს სსრ აქტიური მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის განუწყვეტელი აღმავლობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელების და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ეკისრება:

ა) შეიმუშაოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის მონაწილეობით პერსპექტივები საქართველოს სსრ ეკონომიკის განვითარებისა და პერსპექტივები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებისა 15—20 წლისათვის;

ბ) მოამზადოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მონაწილეობით საკონტროლო ციფრები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებისა 5—7 წლისათვის ისე, რომ დავალებანი განაწილდეს წლების, დარგების, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, აგრეთვე მატერიალური ბალანსები სამრეწველო პროდუქციისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის უმნიშვნელოვანესი სახეობათათვის;

გ) შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამებიან სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიერ შემუშავებული პერსპექტიული გეგმები დამტკიცებულ საკონტროლო ციფრებს;

დ) შეადგინოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, ავტონომიურ რესპუბლიკებთან და ავტონომიურ ოლქთან, ქალაქებთან და რაიონებთან ერთად შეჯამებითი წლიური სახალხო-სამეურნეო გეგმები 5—7 წლისათვის დამტკიცებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე, და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მსვლელობიდან გამომდინარე ცვლილებათა გათვალისწინებით;

ე) შეიმუშაოს, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე, დადგენილი წესით დასამტკიცებლად, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წლიური გეგმები, რომელთა შემადგენლობაშია მატერიალური ბალანსები და პროდუქციის განაწილების გეგმები, რომელიც გამოყოფილი აქვს რესპუბლიკას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდებით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე პროდუქციისა სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებს, ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქსა და ქალაქ თბილისს შორის იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ნედლეულით, მასალებით, სათბობითა და მოწყობილობით მთელი იმ პროდუქციის წარმოება, რომელიც იგეგმებოდეს ცენტრალიზებული წესით, ისე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიერ;

კ) შეადგინოს დადგენილი წესით სატიტულო სიები მშენებლობათა ობიექტებისათვის, განსაზღვროს უმნიშვნელოვანესი ობიექტების კაპიტალდაბანდებათა მოცულობანი მშენებლობის მთელი პერიოდისათვის იმ ანგარიშით, რომ განაწილდეს ისინი წლების მიხედვით მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმების შესაბამისად. შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამებიან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მიერ შედგენილი სხვა ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის სატიტულო სიები სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების დავალებებს;

ზ) მოამზადოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, გეგმების იმ პროექტების საფუძველზე, რომლებსაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი, ქალაქები და რაიონები წარადგენენ, დავალებანი უმნიშვნელოვანესი სამუშაოებისა ახალი ტექნიკის შექმნის და დანერგვის დარგში, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა, რომლებსაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ; ახალი სახის მანქანების, მოწყობილობისა და მასალების გამოშვების გადიდებისა და მოძველებულ სახეობათა მოხსნის წარმოებიდან;

თ) მოამზადოს დასკვნები საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების, საკოდიტო და საკასო გეგმების გამო;

ი) დაამტკიცოს დადგენილი წესით სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რესპუბლიკური ტექნიკური პირობები და საბითუმო ფასები, აგრეთვე მოამზადოს დასკვნები ფასების საკითხებზე, რომლებსაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბ-

ჭო, სამინისტროები და უწყებები წარადგენენ;

კ) მონაწილეობა მიიღოს იმაში, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა მოამზადოს იმ ობიექტების მშენებლობის საპროექტო დავალებანი, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ;

ლ) შეიმუშაოს გეგმები სპეციალიზაციისა და კოოპერირებისა პროგრესულობასა და მშენებლობაში, წინადადებანი სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის დარგში, აგრეთვე წინადადებანი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გაუმჯობესების, სამეურნეო ანგარიშის გახმტკიცების, წარმოების განვითარებისათვის ეკონომიური სტიმულების გაძლიერების, ფასების შექმნის სისტემის გაუმჯობესების, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების, სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესების საკითხებზე და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა ეკონომიურ პრობლემებზე;

მ) დააწესოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების წინადადებათა საფუძველზე, ხედლეულის, მასალებისა და სათბობის ხარჯვის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები, შეამოწმოს ამ ნორმების შესრულება, გამოავლინოს ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობის ყოველგვარი შესაძლებლობანი;

ნ) განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების წინადადებანი საიმპორტო მოწყობილობაზე არსებული მოთხოვნილების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის წარსადგენად და კონტროლი გაუწიოს როგორც საიმპორტო, ისე ჩვენი ქვეყნის მოწყობილობის დროულად გადაცემას საექსპლუატაციოდ;

ო) დადგენილი წესით მოამზადოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებებით, პროექტები გადაწყვეტილებებისა და დასკვნებისა მიმდინარე საშეურნეო საკითხებზე და იმ წინადადებათა გამო, რომლებიც სამინისტროებს, უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონულ) აღმასკომებს შემოაქვთ.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია ყოველმხრივ შეისწავლის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს და გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალისწინებს გეგმებით ამ მოთხოვნილების რაც შეიძლება უფრო სრულად დაკმაყოფილებას, გამოავლენს და გაითვალისწინებს ადგილობრივი რესურსებისა და შინასამეურნეო რეზერვების გამოყენებას წარმოების განუწყვეტელი ზრდისათვის, შეათანხმებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების გეგმებს, უზრუნველყოფს ერთიანი პოლიტიკის გატარებას სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებაში, რესპუბლიკის მეურნეობის კომპლექსური განვითარების საკითხების გადაწყვეტას.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული გეგმები უნდა ითვალისწინებდნენ:

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მაღალ ტემპებს, რომლის დროსაც უპირატესობრივად განვითარდება მძიმე მრეწველობა და, უწინარეს ყოვლისა, მისი ყველა ის დარგი, რომლებიც ხელს უწყობენ მთელი სახალხო მეურნეობის და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ყველაზე სწრაფ აღმავლობას;

სწორ თანაფარდობას მომპოვებელი და დამმუშავებელი მრეწველობის წარმოების მომიჯნავე დარგების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის განვითარებაში, სწორ პროპორციას წარმოებისა და მოხმარების, მოხმარებისა და დაგროვების, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდას შორის, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და საქონელბრუნვის გადიდებას შორის, წარმოებასა და მის მატერიალურ და ფინანსურ უზრუნველყოფას შორის;

სწორ თანაფარდობას ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და რაიონების სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ეკონომიური, ბუნებრივი და სხვა პირობებისა და თავისებურების გათვალისწინებით, აგრეთვე მათ შორის რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის განვითარების გათვალისწინებით;

მრეწველობისა და შენებლობის ყველა დარგის ტექნიკური დონის ამაღლებას წარმოების კომპლექსური მექანიზაციის, ავტომატიზაციის, ელექტროფიკაციისა და ქიმიზაციის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების, მშვიდობიანი მიზნებით ატომური ენერგიის გამოყენების, უახლესი, მაღალნაყოფიერი მოწყობილობისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, მოძველებული მოწყობილობის გამოცვლისა და ძველრნიზაციის საფუძველზე;

სახალხო მეურნეობაში არსებული წარმოების ზრდის რეზერვების ყოველნაირად გამოყენებას მოწინავე გამოცდილებისა და ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, საწარმოო სიმძლავრეთა, მოწყობილობის, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის უკეთ გამოყენების გათვალისწინებით, დანაკარგების შემცირებას წარმოებაში შენახვისა და ტრანსპორტირების დროს წარმოების გაფართოებას და ახალი ეფექტურ სახეობათა ნედლეულისა და მასალების, განსაკუთრებით ისეთი მასალების წარმოების გაფართოებას და ფართოდ გამოყენებას, რომლებიც შეცვლიან დეფიციტურ და ძვირადღირებული სახის ნედლეულსა და მასალებს;

საწარმოო ძალთა რაციონალურად განაწილებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მრეწველობის მიახლოებას ნედლეულის, სათბობის წყაროებთან და მოხმარების რაიონებთან, რესპუბლიკის მეურნეობის შემდგომ სპეციალიზაციას და კომპლექსურ განვითარებას;

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას და წარმოებისა და ბრუნვის ხარჯების შემცირებას და ამ საფუძველზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელ ამაღლებას;

ჩვენი ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის შემდგომ განმტკიცებას.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ შესრულდეს სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმები, დაცულ იქნას სახელმწიფო დისციპლინა სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმების შესრულებაში, სწორად იქნას გამოყენებული მატერიალური და ფულადი სახსრები, აგრეთვე მუშახელი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია სისტემატურად მოახსენებს საქართველოს სსრ მთავრობას სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების მიმდინარეობას, შეიმუშავებს ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ვიწრო ადგილების და დისპროპორციის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის და ისეთს საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტას საჭიროებენ, შესაბამის წინადადებებს წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებისაგან, ავტონომიური ოლქის, ქალაქების და რაიონების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგეგმო კომისიებისაგან მიიღებს ყოველგვარ მასალებს, რომლებიც საჭიროა სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმების შემუშავებისა, დაზუსტებისა და შესრულების შემოწმებისათვის.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება ენიჭება:

მოიზიდოს გეგმებისა და ცალკეული სახალხო-სამეურნეო პრობლემების შესამუშავებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები, აგრეთვე ცალკეული მეცნიერები, სპეციალისტები და წარმოების ნოვატორები;

დაევალოს საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების საგეგმო კომისიებს შეისწავლონ და მოამზადონ საკითხები, თუ რამდენი სჭირდება დამატებით სახალხო მეურნეობას ცალკეული სახის ნედლეული, მასალები და ბაზა პროდუქცია, რომ მოეწყოს საწარმოებში ახალი სახის პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესდეს საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება თვითღირებულების შემცირების და დაგროვებათა გადიდების დამატებითი წყაროების გამოძებნით, აგრეთვე მომზადდეს სახალხო მეურნეობის გეგმების შემუშავებასთან და შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;

მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც საჭიროა სახალხო მეურნეობის გეგმების შემუშავებისა და მათი შესრულების შემოწმებისათვის.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია შეისწავლის და განაზოგადებს სახალხო მეურნეობის საბჭოში, სამინისტროებში, უწყებებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში დაგეგმვის პრაქტიკას და განახორციელებს დაგეგმვის მუშაობისადმი მეთოდურ ხელმძღვანელობას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მეთოდური მითითებების შესაბამისად, ჩაატარებს თათბირებს გამოცდილების გაზიარების საკითხზე და სხვა ღონისძიებებს.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭო, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები, რომლებსაც პერსონალურად დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ჰყავს კოლეგია, რომლის შემადგენლობას, დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის წარდგენით.

კოლეგიის თავმჯდომარეა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია ხელმძღვანელობს მის გამგებლობაში არსებული ორგანიზაციების საქმიანობას.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის აპარატის სტრუქტურას და საშტატო რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

29 მუშა-მოსამსახურეებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის დროს საცალო საქონელბრუნვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 მარტის № 330 დადგენილება „მუშა-მოსამსახურეებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის დროს საცალო საქონელბრუნვის აღრიცხვის შესახებ" დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 717 დადგენილების მუხ. 5.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილებით დამტკიცებული სია დოკუმენტებისა, რომელთა მიხედვითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე, შეივსოს შემდეგი შინაარსის 35-ე მუხლით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„35. იმ დოკუმენტებით, რომლებიც აწესებენ დადგენილ ვადებში მთლიანად ან ნაწილობრივ აუნაზღაურებელი საქონლის მიღებას ნისიად სავაჭრო საწარმოებისაგან.

აღნიშნულ დოკუმენტებზე აღსრულებითი წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნას:

ა) მყიდველის საგადამხდელო დავალება-ვალდებულება ნაყიდი საქონლის ანაზღაურების შესახებ (ლედანი);

ბ) სავაჭრო საწარმოს ცნობა დავალიანების შესახებ".

3. ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად გაცემის პრაქტიკის გათვალისწინებით, დამტკიცდეს ინსტრუქცია ქალაქებში მუშა-მოსამსახურეებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ, დანართის თანახმად.

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 717 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 330

1960 წლის 28 მარტი

მოსკოვი, კრემლი

მუშა-მოსამსახურეებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის დროს საცალო საქონელბრუნვის აღრიცხვის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ მუშა-მოსამსახურეებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის დროს საცალო ვაჭრობის ორგანიზაციები და საწარმოები საცალო ვაჭრობის ანგარიშში შეიტანენ გაყიდული საქონლის სრულ ღირებულებას. ფულადი თანხები, რაც ფაქტიურად მიღებულია მყიდველებისაგან ნისიად გაყიდული საქონლის ღირე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულების ანაზღაურების ანგარიშში. აღინიშნება საცალო საქონელ-ბრუნვის ანგარიშგებაში ცალკე სტრიქონად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბ-ჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს № 915 დადგენილების მე-3 მუხლი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ფ. კოზლოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 9 აპრილის № 213
დადგენილებით

ინსტრუქცია

ქალაქებში მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ

1. საქონლის გაყიდვა ნისიად წარმოებს რესპუბლიკის იმ ქალა-ქებში, რომლებსაც განსაზღვრავენ სახელმწიფო ვაჭრობის მომსა-ხურების ზონაში — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და იმ ქალაქებში, რომლებსაც მომსახურებას უწევს სამომხმარებლო კოოპერაცია, — ცეკავშირის გამგეობა.

2. საქონლის ნისიად გაყიდვისათვის გამოიყოფა სავაჭრო ორგა-ნიზაციებისა და მუშათა მომარაგების განყოფილებების მაღაზიები, ხოლო იმ ქალაქებში, რომლებსაც მომსახურებას უწევს სამომხმა-რებლო კოოპერაცია, — ადგილობრივი სამომხმარებლო კოოპერა-ციის მაღაზიები.

მაღაზიების რაოდენობას თვითეული ქალაქისათვის განსაზღვრა-ვენ შესაბამისად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცე-კავშირის გამგეობა.

3. ნისიად გაიყიდება საქონელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 717 დადგენილებით დამტკი-ცებული ნომენკლატურით იმ ცვლილებებითა და დამატებებით, რომლებსაც შეიტანენ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 7959 წლის 18 ნოემბრის № 880 დადგენილების საფუძველზე, საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა.

4. საქონელი ნისიად მიეყიდება მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ირიცხებიან მუდმივ სამუშაოზე და ცხოვრობენ იმ ქალაქში, სადაც მაღაზია იმყოფება, და მუდმივად არიან გაწერილი.

საქონელი ნისიად გაიცემა მას შემდეგ, რაც მყიდველი წარადგენს საგადამხდელო დავალება-ვალდებულებას თანდართული ფორმით, რომელიც შედგება ორ ცალად: ერთ ცალს მყიდველი ჩააბარებს დაწესებულებას (საწარმოს, ორგანიზაციას), ხოლო მეორე ცალს დაწესებულების დასტურით მისი მიღების შესახებ წარუდგენს მაღაზიას, რის შემდეგ მოხდება საქონლის გაცემა.

დროებითს, სეზონურ სამუშაოზე მყოფ, აგრეთვე სხვა საწარმოში (დაწესებულებაში, ორგანიზაციაში) გადასაყვან ან საწარმოდან (დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან) დასათხოვნ მუშებსა და მოსამსახურეებს საწარმოები (დაწესებულებები, ორგანიზაციები) საგადამხდელო დავალება-ვალდებულებებს არ შეუმოწმებენ.

5. მყიდველს მის მიერ ნისიად შეძენილი საქონელი მიეცემა მას შემდეგ, რაც იგი გადაიხდის მისი ღირებულების სულ ცოტა 25 პროცენტს.

საქონლის ღირებულების დანარჩენი ნაწილი მყიდველმა უნდა გადაიხადოს, როგორც წესი: როდესაც საქონლის ღირებულება 2000 მანეთამდეა — არა უმეტეს 6 თვის ვადისა, ხოლო როდესაც საქონლის ღირებულება 2000 მანეთს აღემატება — არა უმეტეს 12 თვის ვადისა.

6. ნისიად გაიცემა საქონელი, რომლის ღირებულება არ აღემატება მოცემული მყიდველის ხელფასის 50 პროცენტს განაწილვადების პერიოდისათვის.

7. უკეთუ მყიდველს სურს ვადამდე დაფაროს მთლიანად ან ნაწილობრივ ნისიად ნაყიდი საქონლის დავალიანება და უშუალოდ შეიტანოს დავალიანება მაღაზიის სალაროში, მაღაზია მოვალეა დაუბრკოლებლივ მიიღოს მყიდველისაგან ფული და მისცეს მყიდველს ცნობა საწარმოში (დაწესებულებაში, ორგანიზაციაში) წარსადგენად, რათა შეწყდეს ფულის დაკავება ხელფასიდან ან შესაბამისად შემცირდეს გადასახდელების ვადები.

8. საქონლის ნისიად მიყიდვის დროს მყიდველს გადახდება საკავშირო ორგანიზაციის სასარგებლოდ საქონლის საცალო ფასის ერთი პროცენტი, როდესაც გადასახდელი განაწილვადებულია ექვს თვემდე და 2 პროცენტი — როდესაც იგი განაწილვადებულია ექვს თვეზე მეტი ხნის ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ნისიად გაყიდული საქონლისათვის ანგარიშსწორება წარმოებს გაყიდვის მომენტისათვის მოქმედ ფასებში. ნისიად გაყიდული საქონლის საცალო ფასების შეცვლის შემთხვევაში მყიდველთან გადაანგარიშება არ იწარმოებს.

10. საწარმოების (ორგანიზაციების, დაწესებულებების) ხელმძღვანელები და მთავარი (უფროსი) ბუღალტრები უზრუნველყოფენ და პასუხისმგებელი არიან იმისათვის, რომ დროზე დააკავონ თვეში ერთხელ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან, რომლებმაც დავალება-ვალდებულება მისცეს, მორიგი შენატანები და გადაურიცხონ ეს თანხები შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციებს.

11. საწარმოები (დაწესებულებები, ორგანიზაციები) სახელმწიფო ბანკიდან ხელფასის გასაცემი სახსრების გამოტანის დროს აბარებენ სახელმწიფო ბანკს საგადამხდელო დავალებებს, სავაჭრო ორგანიზაციებისათვის იმ თანხების გადარიცხვის შესახებ, რაც დაკავებულია მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონლისათვის; ამ საგადამხდელო დავალებებს საწარმოები (დაწესებულებები, ორგანიზაციები) დაურთავენ იმ მუშა-მოსამსახურეთა სიებს (გვარი, სახელი, მამის სახელი), რომლებსაც ფული დაუკავდათ იმ მაღაზიების აღნიშვნით, სადაც შეძენილი იყო ნისიად საქონელი, ხოლო თუ ასეთი ოპერაციები შესრულებული არ ყოფილა — შესაბამის ცნობას.

12. იმ მუშებისა და მოსამსახურეების სხვა საწარმოში (დაწესებულებაში, ორგანიზაციაში) გადაყვანის და სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში, რომლებმაც ნისიად იყიდეს საქონელი, ან სხვა მიზეზების გამო, რომელთა მიხედვით წყდება მორიგ გადასახდელთა თანხების დაკავება ხელფასიდან, საწარმო (დაწესებულება, ორგანიზაცია) ამას აცნობებს სავაჭრო ორგანიზაციას ფულის დაკავების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში.

ასეთ შემთხვევებში მყიდველი არ თავისუფლდება მორიგი გადასახდელებისაგან და მატერიალურად პასუხისმგებელია კანონით დადგენილი წესით გადაუხადოს სავაჭრო ორგანიზაციას ნისიად ნაყიდი საქონლის დარჩენილი დავალიანება, ხოლო, თუ იგი თავს აარიდებს დარჩენილი დავალიანების გადახდას, ასეთ პირებს სავაჭრო საწარმოები იძულებით გადაახდევინებენ დარჩენილ დავალიანებას სანოტარო წესით.

13. სახელმწიფო ბანკის კანტორები და განყოფილებები საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისაგან ან დაწესებულებებისაგან მიიღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ, მათ მიერ ხელფასის გასაცემი სახსრების მიღების დღეებში, დავალებებს, რომ გადაურიცხონ სავაჭრო ორგანიზაციებს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან ნისიად შეძენილი საქონლისათვის დაკავებული თანხები და იმავე დღეს გადარიცხონ დავალებებში აღნიშნული თანხები სავაჭრო ორგანიზაციების სპეცსასესხო ანგარიშებზე, დამოუკიდებლად იმისა, არსებობს თუ არა სხვა გაუნაღდებელი გადასახდელები, გარდა ხელფასისა და ხელფასიდან დაკავებული გადასახადთა თანხების გადარიცხვისა საფინანსო ორგანოებისათვის.

საგადამხდელო დავალებებთან დართულ იმ მუშა-მოსამსახურეთა სიებს, რომლებსაც დაუკავდათ მოძრავი გადასახდელები ნისიად შეძენილი საქონლისათვის, სახელმწიფო ბანკის კანტორები და განყოფილებები, გადარიცხვის გაფორმების შემდეგ, გადასცემენ შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციებს.

14. ნისიად ნაყიდ საქონელზე ვრცელდება სარგებლობის საგარანტიო ვადები და გამოცვლის წესი, რომლებიც დადგენილია საცალო სავაჭრო ქსელში ნაღდ ანგარიშზე ნაყიდი ასეთი საქონლისათვის.

15. ერთ მყიდველს ერთსა და იმავე დროს ნისიად მიეცემა მხოლოდ ერთი საგანი.

16. საქონელი ნისიად მიეცემა პირადად მყიდველს, ვის სახელზეც მუშაობის ადგილიდან გაცემულია ცნობა ხელფასის შესახებ, მის მიერ პასპორტის წარდგენის შემდეგ.

17. მუშა-მოსამსახურეებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია საგაზეთო განცხადებების, საცნობარო ფურცლების მეშვეობით, საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის საინფორმაციო მასალების დაგზავნის მეშვეობით, აგრეთვე სარეკლამო პლაკატების გამოკვრით ყველა იმ მაღაზიის ფანჯრის ვიტრინებში, რომლებიც გამოყოფილია საქონლის ნისიად ვაჭრობისათვის.

18. მოსახლეობისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის ოპერაციებისა და ანგარიშსწორების საბუღალტრო აღრიცხვა წარმოებს მაღაზიებში ან სავაჭრო ორგანიზაციებში, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობის მითითების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეივსება ორ ცალად, რომელთა ერთი ცალი წარმოადგენს საქონლის ნისიად გაცემის დოკუმენტს

საგადამხდელო დავალება-ვალდებულება

———————————— მმართველს (დირექტორს, გამგეს)
———————————— საგან

(გვარი, სახელი და მამის სახელი, თანამდებობა)

სახლის მისამართი ————————————
პასპორტის № ————————ვის მიერ არის გაცემული————————

გთხოვთ დამიკავოთ ხელფასიდან, ყოველთვიურად, 196 ——— წლის————————დან დაწყებული 196 ——— წლის———————— მდე ——— მანეთი, ხოლო სულ ——————— მანეთი და გადარიცხოთ ეს თანხა ყოველთვიურად ———————— სპეცსასესხო ანგარიშზე № ——————— სახელმწიფო ბანკის ——————— განყოფილებაში ჩემს მიერ ———————— მაღაზიაში ნისიად ნაყიდი ———

(საქონლის დასახელება)

უკეთუ ჩეთმვის საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს დარჩება ჩემს მიერ ნისიად ნაყიდი საქონლის დაუფარავი დავალიანება, მე ვკისრულობ მატერიალურ პასუხისმგებლობას ზემოაღნიშნული სავაჭრო ორგანიზაციის წინაშე დარჩენილი დავალიანების მთლიანად დაფარვისათვის.

(თარიღი და მყიდველის ხელის მოწერა)

ვამოწმებ, რომ ამხ. ————————————
(გვარი, სახელი, მამის სახელი)
მუშაობს მუდმივ სამუშაოზე ——————————— თანამდებობაზე და მისი საშუალო თვიური ხელფასი შეადგენს ——————— მანეთს. მოვალენი ვართ, ყოველთვიურად, 196 ——— წ. ——————— -დან დაწყებული ——————————— თვის განმავლობაში დაგუკავოთ მას მისი ხელფასიდან ——————— მანეთი და გადავრიცხოთ სავაჭრო ორგანიზაციის სპეცსასესხო ანგარიშზე.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი
მთავარი (უფროსი) ბუღალტერი

„ “ ——————— 196 ——— წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგადამხდელო დავალება-ვალდებულების
მეორე მხარე

მაღაზია №

_____
(სავაჭრო ორგანიზაციის დასახელება)

გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე გ ა

ნისიად გაყიდული საქონლის გადასახდელებისა

მოქალაქე _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

1. გაყიდული საქონლის საცალო ფასი ——— მან. —— კაპ.
2. განაწილვადების ვადა —— თვე ——— მან. —— კაპ.
3. პროცენტები ——— % % ——— მან. —— კაპ.
4. სულ მისაღებია მყიდველისაგან ——— მან. —— კაპ.
5. შეტანილია ნაღდ ფულად მაღაზიის სალაროში საქონლის ნისიად წაღების დროს:

ა) საქონლის ღირებულების 25% ——— მან. —— კაპ.
ბ) პროცენტი (მე-3 §-ში აღნიშნული რაოდენობით) ——— მან. —— კაპ.
——— მან. —— კაპ.

სულ: მან. —— კაპ.

6. რჩება დავალიანების თანხა ——— მან. —— კაპ.
7. დაუკავდება ხელფასიდან მუშაობის ადგილზე ——— მან. —— კაპ.

შემდეგ ვადებში

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი

მაღაზიის დირექტორი (გამგე)
ბუღალტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამავალ რკინიგზებზე მატარებლების მიერ ავტოსაჭაპანო ტრანსპორტისა და პირუტყვის გატანის თავიდან აცილების ზომების გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 14 თებერვლის № 107 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გაუქმდეს მუხ. 6 და მე-7 მუხლის მე-2 აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 14 თებერვლის № 107 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამავალ რკინიგზებზე მატარებლების მიერ ავტოსაჭაპანო ტრანსპორტისა და პირუტყვის გატანის თავიდან აცილების ზომების გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 12 აპრილი, № 237

31 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ოქტომბრის № 803 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ოქტომბრის № 803 დადგენილების 1 მუხლის ის ნაწილი, რომლითაც თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქალაქო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს საავტომობილო ტრანსპორტზე გავრცელებულია მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 2 ოქტომბრის № 1117 დადგენილებისა „ავტომობილების შოფერთა გამომუშავების და შრომის ანაზღაურების ერთიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორმების შესახებ", რადგან იგი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნულ დადგენილებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 13 აპრილი, № 256

32 „მშენებლობის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს სამკერდე ნიშანი „მშენებლობის წარჩინებული" საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებისა და მშენებლობის დარგში მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების იმ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად რომლებმაც თავი გამოიჩინეს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

2. დამტკიცდეს დებულება „მშენებლობის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებული ნიმუში „მშენებლობის წარჩინებულის" ნიშნისა და ნიშნების დამზადების ნავარაუდევი ტირაჟი, შეთანხმებული საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 16 აპრილი, № 263

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 32

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 16 აპრილის № 263
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

„მშენებლობის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნის შესახებ

1. „მშენებლობის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების და მშენებლობის დარგში მომუშავე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებიც, არიან სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი:

ა) სისტემატურად, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ მშენებლობის, წარმოებისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმებს, ასრულებენ მშენებლობის ღირებულების და სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებებს;

ბ) რეგულარულად გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს, უზრუნველყოფენ შრომის მაღალ ნაყოფიერებას, საშენი მასალების მომჭირნეობას და თავიანთ საწარმოო გამოცდილებას გადასცემენ ახალგაზრდა მუშაკებს;

გ) აქტიურად მონაწილეობენ მშენებლობასა და სამრეწველო საწარმოებში ახალი ტექნიკის და სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის საქმეში;

დ) ხელს უწყობენ მშენებლობის ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემას დანიშნულ ვადაში და ვადამდე, თუ სამუშაოები შესრულებულია მაღალი ხარისხით;

ე) უფრთხილდებიან მოწყობილობასა და მექანიზმებს, ქმნიან პირობებს მათი სიმძლავრის მაქსიმალურად გამოყენებისათვის, აგრეთვე მათი შეუფერხებელი ხანგრძლივი და უავარიო მუშაობისათვის;

ვ) აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს შრომის მექანიზაციის, განსაკუთრებით შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დარგში;

ზ) ხელს უწყობენ გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, რომლებიც მიმართულია შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისაკენ, უზრუნველყოფენ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

ი) ფრანგული ენიდან ან ინგლისურ-ფრანგულ-ინგლისურ ლექსიკონებიდან ამოღებული ტერმინებისა ან ფრაზეოლოგიზმების ინგლისურ ენაზე ადეკვატური ეკვივალენტ-ებია: ამ ეკვივალენტებს ინგლისურ ენაზე ოთხი ძირითადი ვარიანტი აქვს:

ა) ინგლისურ-ფრანგულ-ინგლისურ ლექსიკონში, ამავე ენებზე, ეკვივალენტ-ებია: ამ ეკვივალენტებს ინგლისურ ენაზე ოთხი ძირითადი ვარიანტი აქვს;

ბ) ინგლისურ-ფრანგულ-ინგლისურ ლექსიკონში, ამავე ენებზე, ეკვივალენტ-ებია: ამ ეკვივალენტებს ინგლისურ ენაზე ოთხი ძირითადი ვარიანტი აქვს;

გ) ინგლისურ-ფრანგულ-ინგლისურ ლექსიკონში, ამავე ენებზე, ეკვივალენტ-ებია: ამ ეკვივალენტებს ინგლისურ ენაზე ოთხი ძირითადი ვარიანტი აქვს;

2. „ფრანგულ-ინგლისურ ლექსიკონში" ფრანგული ენიდან ინგლისურ ენაზე ეკვივალენტ-ად ფრანგული ენის ფონეტიკურ ანბანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. „მშენებლობის წარჩინებულის“ ნიშნით დაჯილდოებულ პირთა აღრიცხვა წარმოებს იმ ორგანიზაციის კადრების განყოფილებაში, რომლებიც დაჯილდოებას აწარმოებენ.

7. „მშენებლობის წარჩინებულის“ ნიშნით დაჯილდოებული პირები უნდა წარმოადგენდნენ თავიანთი მოვალეობის სანიმუშო შესრულების მაგალითს.

8. „მშენებლობის წარჩინებულის“ ნიშნით დაჯილდოებული პირები ინარჩუნებენ უფლებას ატარონ ნიშანი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში სამუშაოდ გადასვლის შემდეგაც ან სოციალურ უზრუნველყოფაზე გადასვლის შემდეგაც.

33 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 25 ივლისის № 469 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს მუხ. 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 25 ივლისის № 469 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის გაუმჯობესების თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 სექტემბრის № 606 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

2. რჩევა მიეცეს საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობას—მონკავშირს შეიმუშაოს და დაამტკიცოს საზოგადოების წევრ მონადირეთა მიერ მავნე მტაცებელი ნადირისა და ფრინველის მოკვლის ნორმები და პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 16 აპრილი. № 264

34 სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში მოძველებული ფასონების და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმებული ინსტრუქცია მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ კონტროლი გაუწიოს აღნიშნული სახსრების სწორად ხარჯვას და ჩამოფასებული საქონლის გასაღებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ფირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 22 აპრილი, № 283

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 22 აპრილის № 283
დადგენილებით

ინსტრუქცია

სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ

1. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ისეთი საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდი, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი, შეიქმნება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს № 929 დადგენილების შესაბამისად, საცალო სავაჭრო ორგანიზაციებში ამ ორგანიზაციათა მოგების ხარჯზე საცალო სავაჭრო ქსელის ბრუნვის 0.2 პროცენტის ოდენობით.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, რესპუბლიკური დაქვემდებარების იმ ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე გორის უნივერმაღის, გორივაჭრობისა და ფოთივაჭრობისათვის (რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედებენ იმ ქალაქებში სადაც სავაჭრო განყოფილებები არ არის), აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სავაჭრო განყოფილება, თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო, ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო აღმასკომების სავაჭრო განყოფილებები, მუშათა მომარაგების სამმართველოები, მუშათა მომარაგების განყოფილებები და სხვა სავაჭრო სისტემები გაანაწილებენ, საქონლის მარაგის ანალიზის საფუძველზე, მათთვის საფინანსო გეგმებით გათვალისწინებულ სახსრებს საქონლის ჩამოსაფასებლად დაქვემდებარებულ სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის (სავაჭრო ორგანიზაციები, კანტორები, მუშათა მომარაგების განყოფილებები და სხვ.) და შეიტანენ ამ თანხებს მათს ფინანსურ გეგმებში.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სავაჭრო განყოფილება, თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო, ქუთაისისა და რუსთავის საქალაქო აღმასკომების სავაჭრო განყოფილებები, სახალხო მეურნეობის საბჭოს და სხვა ორგანიზაციების მუშათა მომარაგების განყოფილებები მოაწყობენ მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაობას საქონლის ჩამოფასებისათვის, დაადგენენ ჩამოფასების ჩატარების თარიღებს, უზრუნველყოფენ იმავსახელობითი საქონლის ერთსადაიმავე დროს ჩამოფასებას და ჩამოფასების ერთნაირ დონეს, კონტროლს გაუწევენ იმას, რომ სწორად მოხდეს საქონლის ჩამოფასება საფინანსო გეგმებით ამ მიზნისათვის გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

საჭირო შემთხვევებში ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ გადაანაწილონ საქონლის ჩამოფასების ფონდის სახსრები დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებს (ცალკეულ სავაჭრო ორგანიზაციებსა, კანტორებსა, მუშათა მომარაგების განყოფილებებს) შორის.

3. სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები (ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციები, კანტორები, მუშათა მომარაგების განყოფილებები და სხვები), რომელთა საფინანსო გეგმებით გათვალისწინებულია მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის შექმნა, ყოველთვიურად გადარიცხავენ ამ ფონდში სახსრებს იმ თანხების ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამედის რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია ამ მიზნისათვის კვარტალური საფინანსო გეგმებით.

საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდში ანარიცხები აისახება ანგარიშზე „განყენებული სახსრები" და „სპეციალური ფონდები". საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდში ანარიცხები ჩამოიწერება ბალანსიდან მოგების განაწილების წესით წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ.

4. ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის სახსრები ინახება ფონდის მფლობელ ორგანიზაციათა და საწარმოთა (ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციები, კანტორები, მუშათა მომარაგების განყოფილებები და სხვ.) საანგარიშსწორებო ანგარიშებზე და დაიხარჯება მხოლოდ მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ისეთი საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი.

ფონდის სახსრების ხარჯვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ დარიცხული თანხების ფარგლებში. აკრძალულია საქონლის ჩამოფასება, ჩამოფსებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდში მომავალი დანარიცხების ხარჯზე.

მიმდინარე წელს გამოუყენებელი ფონდის სახსრები გადადის მომავალი წლისათვის და გამოყენებული იქნება პირდაპირი დანიშნულებით.

5. სავაჭრო ორგანიზაციების (ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციები, კანტორები, მუშათა მომარაგების განყოფილებები და სხვ.) ხელმძღვანელები ყოველდღიურ კონტროლს უწევენ სავაჭრო ქსელში საქონლის რეალიზაციის მიმდინარეობას და მისი მარაგის მდგომარეობას და ძნელადგასასაღებელი საქონლის დაგროვების მიხედვით მოაწყობენ დაქვემდებარებულ საწარმოებში ამ საქონლის ჩამოფასებას და გასაღებას, ამასთან გამოუყოფენ საწარმოებს საჭირო სახსრებს (ლიმიტებს) ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების არსებული ფონდის ფარგლებში.

6. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასება წარმოებს მაღაზიებში საწყობებსა და სხვა საცალო-სავაჭრო საწარმოებში.

ჩამოფასების დამთავრებისა და დოკუმენტების სათანადოდ გაფორმების შემდეგ მთელი ჩამოფასებული საქონელი ამოიღება იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღაზიებიდან, რომლებიც სრულფასოვანი საქონლით ვაჭრობენ, და გადაეცემა სპეციალურ მაღაზიებსა და დუქნებს.

ეს საქონელი რეკლამირებული იქნება როგორც ისეთი საქონელი, რომლის რეალიზაცია ხდება დაყიდვის წესით უფრო იაფ ფასებში.

7. საქონლის ჩამოფასებისათვის ზემდგომი ორგანიზაციის (ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციის, კანტორის, მუშათა მომარაგების განყოფილების და სხვ.) ხელმძღვანელი დანიშნავს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ამ ორგანიზაციის რწმუნებული (თავმჯდომარე). იმ საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი, რომელშიაც ჩამოფასება ტარდება, ან მისი მოადგილე, საანგარიშო დარგის მუშაკი ან მისი შემცვლელი პირი, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის წარმომადგენელი და პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელი.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის საჭირო შემთხვევებში მოწვეული იქნებიან სპეციალისტები—საქონელმცოდნეები ან სასაქონლო ექსპერტიზების ბიუროს წარმომადგენლები.

8. ცალკეული საქონლის ჩამოფასების ოდენობა დაწესდება იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკარგა მან წინანდელი ხარისხი და მისი შესაძლო გაყიდვის გათვალისწინებით.

გასაყიდად უვარგისი საქონელი ამ ინსტრუქციის შესაბამისად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე ჩამოფასებული არ იქნება, არამედ ჩამოიწერება ბალანსიდან სახელმწიფო, კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დებულების შესაბამისად.

ჩამოფასებულ საქონელს გაუკეთდება იარლიყები, რომლებშიაც აღინიშნება საქონლის პირვანდელი საპრეისკურანტო ფასი და ჩამოფასების შემდეგ დაწესებული ფასი. საქონლის იარლიყებზე ახალ ფასს აღნიშნავს ჩამოფასების მომხდენი კომისია და ხელმოწერით დაადასტურებს ამ კომისიის თავმჯდომარე. აკრძალულია ისეთი ჩამოფასებული საქონლის გაყიდვა, რომელსაც ასეთი იარლიყები არ ექნება.

ცალკეული საქონლის მიმართ, რომელიც მისი დეფექტიანობის გამო წინათ უკვე იყო ჩამოფასებული და მისი გასაყიდი ფასი საპრეისკურანტო ფასზე გაცილებით დაბალია, აღწერილობა-აქტებში ნაჩვენები იქნება შემცირებული გასაყიდი ფასი.

9. ჩამოფასებული საქონელი უნდა გადაითვალონ და გადაზომონ მატერიალურად პასუხისმგებელმა პირებმა კომისიის წევრების თან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწრებით, რომლებიც შეამოწმებენ გადათვლისა და გადაზომვის სისწორეს.

10. ცნობები ჩამოფასებული საქონლის შესახებ შეიტანება აღწერილობა-აქტებში ამ ინსტრუქციასთან ღართული ფორმის თანახმად. აღწერილობა-აქტები შედგება საწარმოს თვითეული განყოფილების (სექციის) მიხედვით სამ ცალად და მათ ხელს მოაწერენ იმ კომისიის წევრები, რომელმაც მოახდინა საქონლის ინვენტარიზაცია და ჩამოფასება, აგრეთვე მატერიალურად პასუხისმგებელი პირები.

11. აღწერილობა-აქტები უნდა დაიწეროს მელნით ან ქიმიური ფანქრით, ნათლად და გარკვევით. არავითარი გადაფხეკა და გადასწორება არ დაიშვება. დაშვებული შეცდომების გასწორება უნდა მოხდეს აღწერილობა-აქტის ყველა ეგზემპლარზე, სადაც წაიშლება შეცდომითი ჩანაწერები და ზემოდან დაიწერება სწორი ცნობები.

საქონლის დასახელების, მისი ხარისხისა და ფასის მხრივ შეტანილ შესწორებებს უნდა გაუკეთდეს შენიშვნა და დადასტურდეს კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით.

12. აღწერილობა-აქტები გადაეცემა:

პირველი ეგზემპლარი—ზემდგომი ორგანიზაციის ბუღალტერიას, მეორე ეგზემპლარი—იმ ორგანიზაციის (საწარმოს) ბუღალტერიას, სადაც ფასეულობათა აღრიცხვა წარმოებს, მესამე ეგზემპლარი—მატერიალურად პასუხისმგებელ პირს.

აღწერილობა-აქტების მიღების შემდეგ იმ საწარმოს (ორგანიზაციის) ბუღალტერია და სავაჭრო განყოფილება, სადაც ფასეულობათა აღრიცხვა წარმოებს, შეამოწმებენ კომისიის მიერ დადგენილი, შემოწმების დღისათვის მოქმედი ფასების სისწორეს, დანიხვრისა და გამოანგარიშების სისწორეს და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

13. ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ აღწერილობა-აქტების დამტკიცების შემდეგ მთელი ჩამოფასებული საქონელი ამ ინსტრუქციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესით გაფორმებული იარლიყებიანად გადაეცემა ზედნადებით სპეციალურ მაღაზიებსა და დუქნებს, რომლებიც გამოყოფილია საქონლის გასასაღებლად უფრო იაფ ფასებში.

ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს ნება ეძლევათ გაყიდონ ჩამოფასებული საქონელი წვრილ ბათუმად უნაღდო ანგარიშსწორების წესით ამ მიზნისათვის გამოყოფილი ლიმიტების ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედნადებებში აღინიშნება საქონლის საცალო ფასები საქონლის ჩამოფასებამდე და მისი ჩამოფასების შემდეგ.

14. ზემდგომი ორგანიზაციები საქონლის ჩამოფასების აღწერილობა-აქტების დამტკიცების შემდეგ იძლევიან ნებართვას, რომ ჩამოფასების თანხა ჩამოწერილ იქნას სავაჭრო ორგანიზაციის ბალანსიდან, საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის სახსრების ხარჯზე.

საქონლის ჩამოფასების თანხა, რაც ანაზღაურებულ უნდა იქნას ამ ფონდის სახსრების ხარჯზე, ვამოირკვევა აღწერილობა-აქტის მიხედვით როგორც განსხვავება წინანდელ საცალო ფასებში (ჩამოფასებამდე) და ახალ საცალო ფასებში (ჩამოფასების შემდეგ) საქონლის ღირებულებას შორის, ამასთან ამ თანხიდან გამოირიცხება სავაჭრო ფასდაკლება.

15. საფინანსო ორგანოები მოვალენი არიან კონტროლი გაუწიონ სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში ძნელადგასასაღებელი საქონლის ჩამოფასებასა და მის გასაღებას.

ძნელადგასასაღებელი საქონლის ჩამოფასების დადგენილი წესის დარღვევის და მისი გასაღების დაგვიანების ყველა გამოვლინებული შემთხვევა საფინანსო ორგანოებმა უნდა აცნობონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს შესაბამისი ზომების მისაღებად.

16. მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ისეთი საქონლის ჩამოფასება და გასაღება, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი, უნდა შეუფარდდეს, როგორც წესი, ვაჭრობის სეზონის: გაზაფხულ-ზაფხულისა და შემოდგომა-ზამთრის სეზონის დამთავრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაცია _____

საწარმო _____

განყოფილება (სექცია) _____ აღწერილობა-აქტი

მოძველებული ფასონების და მოდელების საქონლის, აგრეთვე ისეთი საქონლის ჩამოფასებისა, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი.

კომისიამ შემდეგი შემადგენლობით: _____

_____

ჩაატარა მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ისეთი საქონლის ინვენტარიზაცია და ჩამოფასება, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი. ამის შედეგად ჩამოფასებული საქონელი აღმოჩნდა: საცალო ფასებში ჩამოფასებამდე _____ მანეთისა და ახალ-საცალო ფასებში ჩამოფასების შემდეგ _____ მანეთისა.

№№ რიგზე	არტიკულების №№	საქონლის დასახელება	ხარისხი	საქონლის დახასიათება და ხარისხი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ჩამოფასებამდე		ჩამოფასების შემდეგ		ჩამოფასებისაგან განსხვავების თანხა	ჩამოფასების თანაის საკომისიო სანქციები	
							განაკეთები ფასი	თანხა	განაკეთები ფასი	თანხა		%	თანხა

კომისიის თავჯდომარე

კომისიის წევრები

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

35 საქართველოს სსრ ვაჭრობის პალატის საკითხები

(ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი წესდება საქართველოს სსრ სავაჭრო პალატისა.

2. სასაქონლო ექსპერტიზების ფუნქციები, რომლებსაც საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სასაქონლო ექსპერტიზების საშუამავლო კანტორა ასრულებს, გადაეცეს საქართველოს სსრ სავაჭრო პალატას, რის გამო შემცირდეს 1960 წლის 15 მაისიდან საშუამავლო კანტორის შტატები 2 ერთეულით და ხელფასის 1790 მან. თვიური ფონდით.

3. სავაჭრო შუამავლობისა და სასაქონლო ექსპერტიზების საქართველოს კანტორას ამიერიდან ეწოდოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო შუამავლობის საქართველოს კანტორა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 აპრილი, № 328

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 30 აპრილის № 328
დადგენილებით

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს სსრ სავაჭრო პალატისა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატა წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანიზაციას და მისი ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს საქართველოს სსრ ეკონომიური კავშირურთიერთობის განვითარებას და განმტკიცებას საზღვარგარეთთან, აგრეთვე ხელი შეუწყოს საშინაო ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას.

2. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატა არის იურიდიული პირი, მას შეუძლია შეიძინოს და იჯარით აიღოს მოძრავი და უძრავი ქონება, მოახდინოს ყოველგვარი გარიგება და დადოს ხელშეკრულებანი, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ.

3. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია თავისი დასახელება.

4. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

II. ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი

5. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატას ეკისრება:

ა) საქმიანი და საზოგადოებრივი კავშირურთიერთობა დაამყაროს საზღვარგარეთის სავაჭრო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც წარმოადგენენ ვაჭრობას და ხელს უწყობენ მას, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს სავაჭრო პალატების საერთაშორისო ყრილობებზე;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო არასამთავრობო ეკონომიურ კონფერენციებსა და ორგანიზაციებში, მათ შორის რეგიონალურ არასამთავრობო ეკონომიურ ორგანიზაციებში;

გ) მიიღოს უცხოეთის სავაჭრო-სამრეწველო დელეგაციები, აგრეთვე გაგზავნოს საზღვარგარეთ ასეთივე დელეგაციები საქართველოს სს რესპუბლიკიდან;

დ) მოაწყოს საქართველოს სს რესპუბლიკაში და საზღვარგარეთ მოხსენებები საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო ცხოვრებისა და ცალკეულ ქვეყნებთან მისი ეკონომიური კავშირურთიერთობის შესახებ;

ე) გამოსცეს საინფორმაციო მასალები, ბიულეტენები და ცნობარები იმ მიზნით, რომ მიაწოდოს ინფორმაცია როგორც საქართველოს სსრ სამეურნეო ორგანიზაციებს უცხო სახელმწიფოთა ეკონომიური ცხოვრების შესახებ, ისე უცხოეთის სამეურნეო და საზოგადოებრივ წრეებსაც საქართველოს სსრ სამეურნეო მშენებლობის შესახებ;

ვ) ხელი შეუწყოს აზრთა გაზიარებას საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის წევრებს და სხვა დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს შორის ვაჭრობისა და მრეწველობის საკითხებზე, რისთვისაც მოაწყოს ლექციები და მოხსენებები ცალკეულ საკითხებზე, აგრეთვე შექმნას სექციები და სპეციალური კომისიები ისეთ სხვადასხვაგვარ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომლებიც ხელს შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობენ რესპუბლიკის ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას.

სექციების მუშაობის შინაარსი და ფორმა დაწესდება სპეციალური დებულებებით, რომლებსაც დაამტკიცებს პალატის პრეზიდიუმი;

ზ) ხელი შეუწყოს სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციებსა და საწარმოებს იმ მხრივ, რომ გაეცნონ ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის მრეწველობისა და ვაჭრობის მიღწევებს;

თ) მოაწყოს საქართველოს სსრ ორგანიზაციათა დავალებებით სავაჭრო-სამრეწველო გამოფენები და ხელი შეუწყოს საქართველოს სსრ სავაჭრო, სამრეწველო ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ მოემზადონ საკავშირო და საზღვარგარეთის ბაზრობებსა და გამოფენებში მონაწილეობის მისაღებად;

ი) მოახდინოს დაინტერესებული ორგანიზაციების ან პირების თხოვნით საქონლის და მოწყობილობის ხარისხის ექსპერტიზა;

კ) შეასრულოს სამეურნეო და სავაჭრო ორგანიზაციების დავალებანი საექსამო მასალების ორიგინალების დამზადების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ითარგმნოს მასალები უცხო ენებიდან რუსულ და ქართულ ენაზე და რუსული და ქართული ენიდან უცხო ენებზე.

6. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატას შეიძლება ექნეს, როგორც განყოფილება, ფართო მოხმარების საქონლის საუკეთესო ნიმუშების პავილიონი, რომლის ამოცანაა ხელი შეუწყოს ახალი სახის ფართო მოხმარების საქონლის დანერგვას მრეწველობასა და საქონელბრუნვაში და მოძველებული ტიპის საქონლის მოდერნიზაციას. პავილიონი მოქმედებს განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

7. თავისი ამოცანების წარმატებითი ტექნიკური შესრულებისათვის პალატას შეუძლია მოაწყოს სამეურნეო ანგარიშზე მოქმედი დამხმარე საწარმოები.

8. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატა ამ წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელების დროს თავის მოქმედებას შეუთანხმეს საკავშირო სავაჭრო პალატას.

III. წევრობა

9. საქართველოს სსრ სავაჭრო პალატა შედგება წევრებისაგან: ნამდვილი წევრები, საპატიო წევრები და წევრ-კორესპონდენტები.

10. პალატის ნამდვილ წევრებად შეიძლება იყვნენ სამეურნეო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული საწარმოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ნამდვილ წევრთა მიღება ხდება პალატის პრეზიდიუმის ბიერ წერილობითი განცხადებებით. წევრად მიღებაზე უარის თქმა შეიძლება განსაჩივრებულ იქნას პალატის წევრთა საერთო კრების წინაშე. რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

12. პალატის საპატიო წევრებს აირჩევს პალატის წევრთა საერთო კრება პალატის პრეზიდიუმის წინადადებით იმ პირთა და ორგანიზაციათა რიცხვიდან, რომლებმაც განსაკუთრებით დიდი სამსახური გაუწიეს საქართველოს სსრ ეკონომიური კავშირურთიერთობის განვითარების საქმეს.

საპატიო წევრები, სარგებლობენ რა ნამდვილ წევრთა ყველა უფლებით, არ იხდიან შესასვლელ და საწევრო შენატანებს.

13. წევრ-კორესპონდენტებს მოიწვევს პალატის პრეზიდიუმი იმ ორგანიზაციათა და პირთა რიცხვიდან, რომლებსაც ადგილსამყოფელი აქვთ როგორც საქართველოს სს რესპუბლიკაში და სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ისე საზღვარგარეთაც და რომლებმაც განაცხადეს სურვილი სარგებლობა მოუტანონ პალატას მისი ამოცანების განხორციელებაში.

წევრ-კორესპონდენტები არ იხდიან შესასვლელ და საწევრო შენატანებს.

14. ნამდვილი წევრები მოვალენი არიან შეიტანონ პალატის პრეზიდიუმის მიერ დაწესებულ ვადებში შესასვლელი და საწევრო შენატანები ამ წესდების 27-ე მუხლის თანახმად.

შესასვლელი და საწევრო შენატანის შეუტანლობა სამი თვის განმავლობაში იწვევს წევრთა რიცხვიდან გამოსვლას.

IV. მმართველობის ორგანოები

15. პალატის მმართველობის ორგანოებია:

ა) პალატის წევრთა საერთო კრება

ბ) პალატის პრეზიდიუმი.

პალატის წევრთა საერთო კრება

16. პალატის წევრთა საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ იმისათვის, რომ მოისმინოს მოხსენებანი პალატის საქმიანობის შესახებ, დაამტკიცოს პალატის წლიური ანგარიში და განიხილოს მიმდინარე საკითხები.

17. საერთო კრება კანონიერად ითვლება, თუ მას ესწრება პალატის ნამდვილ წევრთა საერთო რიცხვის ნახევარი. თუ პალატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრთა პირველ კრებაზე გამოცხადებულთა რიცხვი არ შეადგენს საჭირო ქვორუმს, მაშინ მოიწვევა ხელმეორე საერთო კრება, რომელიც კანონიერად ითვლება მიუხედავად იმისა, თუ პალატის რამდენი წევრი დაესწრო მას, რაც მოხსენებულ უნდა იქნას ამ კრების შესახებ გამოცხადებულ ცნობაში.

18. საერთო კრების კომპეტენციაში შედის:

ა) პალატის პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები;

ბ) განხილვა პრეზიდიუმის მოხსენებებისა პალატის საქმიანობის შესახებ;

გ) წლიური ანგარიშისა და ამ ანგარიშის გამო სარევიზიო კომისიის დასკვნის განხილვა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება;

დ) პალატის წესდების შეცვლის ან დამატების, აგრეთვე მისი ლიკვიდაციის საკითხების განხილვა;

ე) პალატის საპატიო წევრთა მიღება;

ვ) პალატის საქმიანობის სხვა საკითხების განხილვა, რომლებიც შეტანილია პალატის პრეზიდიუმის მიერ.

19. ის საკითხები, რომლებიც საერთო კრებამ უნდა განიხილოს, გადაწყდება ხმის უბრალო უმრავლესობით, გარდა შემდეგი საკითხებისა:

1) წესდების შეცვლის ან დამატების შესახებ;

2) პალატის ლიკვიდაციის შესახებ;

3) პალატის წევრთა გარიცხვის შესახებ და

4) საკითხებისა, რომლებიც წამოიჭრება პალატის წევრად მიღებაზე უარის თქმის შესახებ შეტანილი საჩივრების გამო. ეს საკითხები გადაწყდება პალატის იმ წევრთა სულ ცოტა ორი მესამედის უმეტესობით, რომლებიც საერთო კრებას ესწრებიან.

20. ხელმეორედ მოწვეულ საერთო კრებაზე შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებიც განხილული უნდა ყოფილიყო პირველ საერთო კრებაზე.

პალატის პრეზიდიუმი:

21. პალატის მთელი საქმეების საერთო ხელმძღვანელობისა და მისი საქმიანობის წარმართვისათვის, აგრეთვე საქმეთა უშუალოდ გამგებლობისა და მიმდინარე მუშაობის ჩატარებისათვის, პალატის წევრთა საერთო კრება აირჩევს პრეზიდიუმს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და სამი წევრის შემადგენლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. პალატის პრეზიდიუმს შეუძლია მოიწვიოს თავის სხდომებში მონაწილეობისათვის სათათბირო ხმის უფლებით ვაჭრობის, მრეწველობის, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გარდა ამისა, პრეზიდიუმის სხდომებზე შეიძლება მოწვეულ იქნან ცალკეული სპეციალისტები, რომელთა მონაწილეობა სასურველად იქნება ცნობილი გადასაწყვეტი საკითხების განხილვის დროს.

23. პრეზიდიუმის სხდომები კანონიერია, თუ მათ ესწრება პრეზიდიუმის სულ ცოტა 3 წევრი, თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ჩათვლით.

24. პალატის საქმეებზე მიმოწერას აწარმოებს პალატის პრეზიდიუმი. ხელშეკრულებებს, ვალდებულებებსა და მინდობილობებს ხელს აწერს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე. ჩეკებს ხელს აწერს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე მთავარი ბუღალტრის მეორე ხელმოწერით.

V. სარევიზიო კომისია

25. პალატის საქმიანობის რევიზიისათვის, ფულადი ანგარიშებისა და ხარჯთაღრიცხვის, სალაროსა და ქონების შესამოწმებლად, აგრეთვე საქმისწარმოების, ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების შესამოწმებლად საერთო კრება ერთი წლის ვადით აირჩევს სარევიზიო კომისიას 3 წევრის და 2 კანდიდატის შემადგენლობით, რომლებიც არ შედიან პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

VI. ს ა ხ ს რ ე ბ ი

26. პალატის სახსრებს შეადგენს:

ა) შესასვლელი და წლიური საწევრო შენატანები;

ბ) საფასური, რაც გაწეული სამსახურისათვის გადახდება პალატის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული განაკვეთების მიხედვით;

გ) შემოსავალი გამოცემებისაგან;

დ) სხვა შემოსავალი.

27. შესასველელი შენატანი დაწესებულია 100 მანეთის ოდენობით, საწევრო შენატანი—500 მანეთის ოდენობით წელიწადში.

28. პალატის სახსრები იხარჯება პალატის წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. პალატის საანგარიშო წელი წესდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

VII. პალატის ლიკვიდაცია

30. პალატის დახურვის, მისი საქმეებისა და ქონების ლიკვიდაციის წესის საკითხი გადაიჭრება პალატის წევრთა საერთო კრების დადგენილებით.

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 30 მან.

წლიური ხელმოწერის ფასი 1961 წლის 1 იანვრიდან 3 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 778